სოლომონ ასურელი

მასონები

სიდუმლო საქმე, თუ საქმე სიდუმლეებით

ბევრი ფაქტ-ბევრი აღმოჩენილია

F 20.888
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ ასურელი

მასონები

– საიდუმლო საძმო თუ საძმო საიდუმლოებით?



ჩემი გზა ჩემი არჩევანია

თბილისი - 2012

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასონები - საიდუმლო საძმო თუ საძმო საიდუმლოებით?

© 2012 სოლომონ ასურელი; საქართველო

პირველი გამოცემა

© 2012 **Solomon Asureli**; Tbilisi, Georgia

Frist Edition

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის გამრავლება ან სხვა ნებისმიერი ფორმით გავრცელება-გადაცემა, ნაწილობრივ თუ მთლიანად, დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

All rights reserved. No part of this book may be reproduced or transmitted in any form or by any means without written permission from the author.

© NPLP Ph.C. **ACACIA**

ISBN: 978-9941-0-4370-3

ტირაჟი: 1500 ეგზემპლარი

ავტორთან დაკავშირება: **masons_geo@europe.com**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეძღვნება ყველა ქართველ თავისუფალ, ძველ და აღიარებულ ქვისმთლელს.

ეძღვნება ყველა იმ ადამიანს, ვინც სიბნელეში მოგზაურობს და ეძებს გზას სინათლისკენ.

ეძღვნება ყველა ერთგულ, სულით მტკიცე და შრომისმოყვარე ადამიანს!

ეძღვნება ჩემს ოჯახს, ჩემს მეგობრებს და ჩემს ძმებს!

ეძღვნება ჩემს ლალის...

Neque enim quaero intelligere ut credam, sed credo ut intelligam. Nam et hoc credo, quia, nisi credidero, non intelligam!

რას უნდა ველოდოთ ამ წიგნისგან?

„მასონები - საიდუმლო საძმო თუ საძმო საიდუმლოებით - ჩემი გზა ჩემი არჩევანია", ეს არის პირველი პუბლიკაცია ქართულ ენაზე, სადაც ქართველი მასონის ისტორიაა გადმოცემული. ამ წიგნში, მასონური საძმოს ისტორიას, ორდენის რიტუალების და სიმბოლიკის ზოგად განმარტებებსა და მასონური ფილოსოფიის საფუძვლებს წარმოგიდგენთ.

მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც დამეხმარა წინამდებარე წიგნის გამოცემაში. თქვენი მხარდაჭერა ფასდაუდებელია! მადლობა ჩემს მეუღლეს, მადლობა ფლამენ დიალისს, განსაკუთრებული მადლობა გოგა დ.- ს (Movie Force) და ალექსანდრე მ. III - ს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

რას უნდა ველოდოთ ამ წიგნისგან?	ii
წინასიტყვაობა	4
ნაწილი პირველი	7
თავი I. ისტორიული ფესვების გაცნობა	7
თავი II. საძმოს ფილოსოფია და საფუძვლები	15
თავი III. დიალოგი პროფანთან ანუ კითხვა - პასუხი	21
თავი IV. მასონური სიმბოლიკა	32
ნაწილი მეორე	36
თავი I. „მე მინდა გავხდე მასონი“	37
თავი II. პირველი ნაბიჯი	38
თავი III. მეორე ნაბიჯი	44
ეპილოგი	48
დანართები	54
ვიზუალური დანართები	890
საკითხავი ლიტერატურა	90

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

„Ad Universi Terrarum Orbis Summi Architecti Gloriam“

მე მასონი ვარ ... !

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნამ ნეგატიურად იმოქმედა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე; ლოგიკური აზროვნების გამართულ განვითარებაზე და პიროვნების ინდივიდუალიზმზე. განსაკუთრებული ზიანი ქვეყანას და საზოგადოებას ინფორმაციულმა იზოლაციამ მიაყენა, ისევე როგორც ფსევდო ფასეულობების მოხვევამ. არსებულ ვაკუუმში საზოგადოებას მიეწოდებოდა მხოლოდ სახელმწიფო - საბჭოთა აპარატისთვის მისაღები ინფორმაცია - აზრები და შეხედულებები, როგორც პოლიტკურ წესწყობაზე, ასევე ზოგადად ყოფაზე, ადამიანურ ფასეულებებზე, ღირსებაზე, რწმენაზე, თავისუფლებაზე, ა.შ.

90-ანი წლების დასაწყისში საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, გაიხსნა ქვეყნის საზღვრები, შემოვიდა დამოუკიდებელი ბეჭდვითი თუ ელექტრონული მედია, გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა ვინც საზღვარგარეთ იღებს განათლებას და შედეგად ნელ-ნელა ყალიბდება დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოება. მიუხედევად ყველაფრისა, მაინც არ არსებობს მრავალ საკითხზე ადეკვატური და მრავალფეროვანი შეხედულებები. რიგი საკითხები საერთოდ ტაბუ დადებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაში ერს და სამოქალაქო საზოგადოებას ვერ დაადანაშაულებ, ჩვენი ქვეყნის იზოლაციის 70 წელი კაცობრიობის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი განვითარების ეტაპი იყო, ჩვენ კი მიღმა დავრჩით.

რა გასაკვირია, რომ არც ისეთ საკითხებში ვართ გარკვეულნი, რომელიც საზღვარგარეთაც ნაწილობრივ ბურუსით არის მოსილი. ადამიანის თვისებაა - ყოველივე შეუცნობელი მიაწეროს ზებუნებრივ ძალებს და წარმოსახოს ეს შეუცნობელი ან მაქსიმალურად პოზიტიურ ან მაქსიმალურად ნეგატიურ კონტექსტში. ასეთ შეუცნობელ სფეროს მიეკუთვნება ჩვენთვის უცნობი, შეიძლება უცხოც კი - საიდუმლო საზოგადოებები და მათი წევრები.

ამ გამოცემის იდეა მომივიდა 2008-2009 წლებში, როდესაც საზღვარგარეთ მოგზაურობისას და ყოფნისას მომიწია სხვადასხვა ადამიანთან და ორგანიზაციასთან ურთიერთობა, დავაკვირდი საზოგადოების და ფრატერნული (საძმო) ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულებას და მივხვდი, რომ საქართველოში, ამ საკითხის ირგვლივ არ არსებობს ჩამოყალიბებული აზრი, არ არის ელემენტარული ლიტერატურა, რომელსაც შეიძლება გავეცნოთ მშობლიურ ენაზე. ვგულისხმობ კონკრეტულ კვლევაზე და გამოცდილებაზე დამყარებულ გამოცემებს, ვინაიდან უხარისხო და ე.წ. „ყვითელი" წიგნები საიდუმლო ორგანიზაციებზე სხვა ენებიდან ქართულადაც იქნება ნათარგმნი. ფანტაზია და მისი გადმოცემა ბევრს შეუძლია და არც ეზარება, სამწუხაროდ ობიექტურ სიმართლესთან ამ გამოცემებს შორეული კავშრიც კი არ აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუბრუნდები წინამდებარე გამოცემის მიზანს - წარმოგიდგენთ ე.წ. საიდუმლო საზოგადოებებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ბურუსით მოცულ საძმოს - **მასონებს**, თავისუფალ ქვისმთლელებს, ძველ და აღიარებულ კალატოზებს, რომელთა მიმართ ჩვენს საზოგადოებაში საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ან ზოგ შემთხვევაში პანიკური დამოკიდებულებაა.

წიგნში რამდენიმე ძირითად ასპექტზე შევჩერდები, როგორიც არის მასონური საძმოს ისტორია, მასონთა რიტუალები და სიმბოლიკა, ამასთანავე წარმოგიდგენთ საკუთარ გამოცდილებასა და საინტერესო დაკვირვებებს ორდენის მუშაობის შესახებ. რა თქმა უნდა, ერთი გამოცემით სრულად ვერ მოვიცავ იმ მრავალფეროვან ისტორიას და თვითმყოფადობას, რომელიც მასონების არსებობას დღეს ასე საინტერესოს ხდის საზოგადოებისთვის. შევეცდები მოკლედ, ამასთანავე მაქსიმალურად გასაგებად, წარმოგიდგინოთ ორდენის ხედვა, საზოგადოების სტრუქტურა, იდეალები და მიზნები.

ერთს დავსძენ - ვიქნები მაქსიმალურად ობიექტური და თავს არ მოგახვევთ ჩემს პირად შეხედულებებს. ჩემი მიზანია ინფორმაციის მოწოდება, თქვენი კი, ალბათ, გაანალიზება. ამასთანავე, ჩემი გამოცდილების გაზიარება ჩემს პირად ემოციებს ეყრდნობა და აქ გარკვეული სუბიექტურობაც მოსალოდნელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი პირველი

სანამ პირად გამოცდილებაზე ვისაუბრებ, საჭიროდ მიმაჩნია, თავისუფალ, ძველ და აღიარებულ კალატოზთა საძმოს ისტორია და ამ მრავალსაუკუნოვანი ქრონოლოგიიდან რიგი საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტები მოკლედ წარმოგიდგინოთ.

წიგნში წარმოდგენილი გარკვეული მოსაზრებები ატარებს სუბიექტურ ხასიათს და წარმოადგენს ჩემს პირადა ხედვასა და შეფასებებს.

თავი I. ისტორიული ფესვების გაცნობა

სხვადასხვა ავტორს თავისი შეხედულება და მოსაზრება გააჩნია მასონური საძმოს ჩამოყალიბების შესახებ. ავტორთა ნაწილი მიუთითებს იმ უტყუარ ფაქტებზე, რომ ჯერ კიდევ ეგვიპტის პირამიდების აგების ხანაში არსებობდა ქვისმთლელთა გილდიები; რიგი ავტორი მასონური ორდენების ისტორიას იწყებს ჯვაროსნური ლაშქრობების ხანიდან, ზოგიც პირდაპირ მეთვრამეტე საუკუნიდან, როდესაც ინგლისში ოფიციალურად დაარსდა ინგლისის დიდი ლოჟა. არის ავტორთა ჯგუფი, რომელიც მასონთა ისტორიას იწყებს ისრაელის **მეფე სოლომონიდან**, რომელმაც იერუსალიმში ტაძარი ააგო.

შეჯერებული ვერსია, რომ მოვიშველიოთ რამდენიმე ორგანიზაციისა და პირთა ჯგუფის ისტორია და რეალობა უნდა დავაკავშიროთ ერთმანეთს. არ არსებობს პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ მასონები, როგორც ორგანიზებული საძმო, არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობდა ეგვიპტის უძველესი პირამიდების აგების ხანაში. გარკვეული სიმბოლიკა და მითოსი წარმოდგენილია და ნაწილობრივ გამოიყენება მასონური რიტუალების დროს. არარეგულარული მასონური ფრთა - **მემფის მიცრაიმი** კი მხოლოდ ძველ ეგვიპტურ სიმბოლიკას და რიტუალებს იყენებს, აღიარებს, რომ რიგი რიტუალები პირდაპირ „ნასესხებიც" აქვს და მასონობასთან მათ პირდაპირი კავშირი არც აქვთ.

თუ დავეყრდნობით კონკრეტულ ფაქტებს და გავაანალიზებთ მათ, დავინახავთ, რომ მასონურ ორდენს საფუძველი (დღევანდელი სახით) ჩაუყარეს შუა საუკუნეების ქვისმთლელებმა, რომლებიც იმ პერიოდში იყვნენ საკმაოდ საჭირო, იშვიათი და ძვირადღირებული ოსტატები, არქიტექტორები და ინჟინრები. მათ ანდობდნენ ევროპის ყველაზე მნიშვნელოვან საერო და საეკლესიო მშენებლობებს. გეომეტრიის, არქიტექტურისა და ინჟინერიის ცოდნა ისეთი იშვიათი იყო, რომ ქვისმთლელები (**მასონი** ფრანგული სიტყვაა და სწორედ ქვის მთლელს ნიშნავს, **ფრანკ მასონი** კი - თავისუფალ ქვის მთლელს) გაერთიანდნენ გილდიებში (პროფესიულ ერთობებში) სადაც ცოდნის გადაცემა ხდებოდა მხოლოდ თაობიდან თაობაზე. გილდიებში ახალი კანდიდატების მიღება საკმაოდ რთულად, სერიოზული სელექციისა და ნდობის საფუძველზე ხდებოდა. ოსტატებს ჰქონდათ უფლება თავისუფლად ემოძრავათ ერთი სამეფოდან მეორეში, რაც გამოწვეული იყო მათზე არსებული მოთხოვნილებით ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის მასშტაბით სხვადასხვა მეგა მშენებლობებზე. ამ პერიოდიდანვე ეწოდა ამ გილდიებს თავისუფალ ქვის მთლელთა კავშირები. შესაბამისად, საჭიროებამ მოიტანა მრავალი საიდუმლო ნიშნის, მისალმებისა და შეკრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის დროს გამოსაყენებელი სიმბოლოების დანერგვა. უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ოსტატი თავისუფლად ამტკიცებდა გილდიასთან საკუთარ კავშირს, ვინაიდან სიმბოლოებისა და ნიშნების უმეტესობა (ლენდმარკები) საერთო იყო.

ჯვაროსნული ლაშქრობების ხანაში, იერუსალიმში, წმინდა მიწაზე, ჩამოყალიბდა რაინდთა ორდენი - **ტაძრელები**, ანუ ტაძრის რაინდები (საუბარია ისევ იგივე სოლომონის მიერ აგებულ ტაძარზე), რომლებიც ითვლებოდნენ ქრისტიანული რწმენის ყველაზე თავდადებულ მცველებად. აღნიშნული ორდენი 9 ფრანგმა ბერმა ჩამოყალიბა, რომლებმაც გადაწყვიტეს ხელში აეღოთ მახვილი და დაეცვათ ერთმორწმუნე პილიგრიმები და ეკლესიის ინტერესები წმინდა მიწაზე. აღნიშნულ ორდენს შემდგომში წიგნიც კი მიეძღვნება, აქ კი რამოდენიმე ფაქტს წარმოგიდგენთ მათ შესახებ.

14-ე საუკუნის დასაწყისისთვის ტაძრელები ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ძლიერი ორდენია, ტაძრელებზე დადიოდა მრავალი ლეგენდა, მათ გააჩნდათ საკმაოდ ძლიერი სამხედრო ძალა - ზოგი მკვლევარი ასახელებს რამდენიმე ათეულ ათას, თუმცა რაინდთა რაოდენობა 2 ათასს არ სცდებოდა.

ცნობილია, რომ პირველად სწორედ ამ ორდენმა დანერგა საბანკო მომსახურეობის სისტემა, მათ შორის კრედიტის გაცემის მექანიზმები. სესხს კი სამეფო ოჯახები და კათოლიკური ეკლესია იღებდა. ყველაფერი სწორედ იმით დასრულდა, რითიც მთავრდება ხოლმე მსგავსი ისტორიები - შიში, შური, ბოღმა და ცილისწამება. საფრანგეთის მეფემ **ფილიპე ლამაზმა** 1307

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაძრელთა ბეჭედი-ერთ ცხენზე ორი მხედრის გამოსახულებით

წელს, თვითდასმული რომის პაპის მხარდაჭერით, გამოსცა საიდუმლო განკარგულება ყველა რაინდის დაპატიმრებისა და მათი ქონების ჩამორთმევის მიზნით. ამისთვის, მან 1313 წლის 13 ოქტომბერს მოიწვია რაინდთა ხელმძღვანელობა, მათ შორის ორდენის დიდი მაგისტრი-ოსტატი **ჟაკ დე მოლე** და დააპატიმრა, 1314 წლის 18 მარტს კი დიდი ოსტატი მეფემ სიკვდილით დასაჯა.

სხვათაშორის, სწორედ ამ თარიღიდან მოდის ცრურწმენა „დაწყევლილი პარასკევი 13“ და ზოგადად ციფრი „13“-ის არაპოპულარობა. მეფე ფილიპმა ბევრს ვერაფერს მიაღწია, რაინდთა უმეტესობა დაუსხლტა და ვერც განძი იპოვეს მისმა მსტოვრებმა. 14-ე საუკუნიდან დღემდე ისმის შეკითხვა, სად წავიდნენ რაიდნები? სად არის ტაძრელთა განძი? მკვლევართა ნაწილი აღნიშნავს, რომ რაინდები დაბრუნდნენ წმინდა მიწაზე, ამასთანავე არსებობს კონკრეტული ფაქტები, რომლებიც

ჟაკ დე მოლე –ტაძრელთა ორდენის დიდი ოსტატი 1292-1314)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუთითებს მათ კვალზე შვეიცარიის ისტორიაში (მათ შორის დროშის სიმბოლიკაზე, „საერთაშორისო წითელი ჯვრის“ ორგანიზაციის შექმნაზე და საბანკო სექტორის განვითარებაზე), მკვლევართა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ორდენს გააჩნდა საზღვაო ფლოტი (რომელიც ფრანგმა მეფემ ვეღარ დააპატიმრა და იგი გაუჩინარდა), რომლის მეშვეობითაც რაინდები დღევანდელი კანადის ტერიტორიაზე გაემგზავრნენ. შეიძლება, და ალბათ ასეც არის, რომ ყველა ეს ავტორი მართალია, ვინაიდან ორდენი საკმაოდ დიდი და მრავალრიცხოვანი იყო. რაინდების ნაწილი თავისუფლად შეიძლება გადასულიყო ალპებზე, შვეიცარიაში, ნაწილი კი დაბრუნებულიყო იერუსალიმში. ამასთანავე, ყველაზე ძლიერი არგუმენტი მაინც იმაზე მიუთითებს, რომ რაინდთა ძირითადი ჯგუფები თავისუფალ **შოტლანდიისკენ** დაიძრა.

რამდენიმე წლით ადრე, შოტლანდიის მეფე რომის პაპის მიერ ზუსტად იმავე ბრალდებებით იქნა გასამართლებული, როგორც ტაძრელები. ორივე საბრალდებო დასკვნას, რომ გადავხედოთ, დავინახავთ ტექსტის აბსოლუტურ იდენტურობას, მხოლოდ ბრალდებულთა სახელებია ჩასწორებული. შოტლანდია რომის ეკლესიის იურისდიქციას განუდგა და ეს ტერიტორია იმ პერიოდში ტაძრელთა ორდენის წევრების უსაფრთხოებისთვის იდეალური ადგილი იყო.

მოგვიანებით, რაინდთა ნაწილი შეუერთდა მასონურ გილდიებს, ვინაიდან იქ თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ და შეეძლოთ თავისუფალი გადაადგილება სხვადასხვა ქვეყანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო სურათის მნიშვნელოვანი შტრიხია **რენესანსის პერიოდი** ევროპაში. 13-ე - 16-ე საუკუნეებში ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ეპოქისგან განსხვავებული აზროვნების წარდგენას საზოგადოებისადმი, მიუღებელნი იყვნენ კათოლიკური ეკლესიისათვის და სამეფო ოჯახებისათვის.

ამ ადამიანებში საკუთარი აბსოლუტური მმართველობისათვის და შეურყეველი ავტორიტეტისათვის უდიდეს საფრთხეს ხედავდნენ. **გალილეო, და ვინჩი, ნიუტონი** და სხვები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ცდილობდნენ გარდატეხა შეეტანათ შუა საუკუნეების სქოლასტიკურ პერიოდში, ადამიანთა ხედვაში და აზროვნებაში. მათი უმეტესობა იყო მორწმუნე, ღვთის მოსავე ადამიანი, თუმცა ინკვიზიცია მათ სასტიკად ებრძოდა, როგორც სარწმუნოების მტრებსა და მოღალატეებს.

ასეთი თავისუფალი აზროვნება, მსჯელობა და საუბარი ინკვიზიციის ხანაში, როდესაც მცირედზეც კი წვავდნენ კოცონზე, იყო სახიფათო სიცოცხლისთვის, ამიტომ ეს ადამიანები ცდილობდნენ საკუთარი ხელოვნება თუ ნააზრევი გადმოეცათ ფარული შიფრით, კოდებითა და სიმბოლოებით, მათი შეკრებები იმართებოდა ფარულად. ძირითადი თეზისები იწერებოდა სპეციალურად დამუშავებულ პაპირუსებზე, საჭიროების შემთხვევაში, გამოსახული ტექსტი სითხესთან შეხებისას უჩინარდებოდა. მოგვიანებით, ამ ადამიანებმა დაიწყეს თავისუფალ ქვისმთლელთა გილდიებში გაწევრიანება.

ამავე პერიოდში შემოვიდა ტერმინები „პროფესიული ქვისმთლელთა გილდიები - ლოჟები“, ანუ მხოლოდ პროფესიონალი, პრაქტიკოსი ქვისმთლელებით დაკომპლექტებული ლოჟე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბი და ასევე ის ლოჟები, სადაც უკვე ინტელექტუალები, ჯენ-ტლიმენები და არაპროფესიონალი - ანუ „აღიარებული“ ქვისმთლელები იყვნენ გაწევრიანებულნი. მე-18 საუკუნეში პროფესიონალ ქვისმთლელთა გილდიები აღარც დარჩა, ისინი მთლიანად იქნენ ასიმილირებულნი აღიარებულ მასონურ გილდიებთან.

ფაქტობრივად, დღეს არსებული **მასონური საზოგადოების წინამორბედნი და სულის ჩამდგმელნი** იყვნენ: შუა საუკუნეების **პროფესიონალი ქვისმთლელები** (არქიტექტორები, ინჟინრები და მშენებლები); სხვადასხვა **ქრისტიანული ორდენი**, მათ შორის ტაძრის რაინდთა (ტაძრელები) სამხედრო ორდენი, და **რენესანსის** ხანიდან მოყოლებული ის **ხელოვანი, ინტელექტუალი და მოაზროვნე ადამიანები**, რომელთა საქმიანობაც კათოლიკური ეკლესიის წარმოსახვაში იყო საშიში, მისი აბსოლუტური მმართველობის საფუძვლებისთვის და მასების კონტროლის სისტემისთვის.

პირველი დოკუმენტური ნიმუშები ლოჟების მუშაობის, ოპერირებისა და რიტუალების შესახებ გვხვდება 17-ე საუკუნეში. რაც, მიუთითებს იმაზე, რომ ლოჟები გაცილებით უფრო ადრე ჩამოყალიბდა და განვითარდა. მაგ. **1646** წლის დოკუმენტში ნათლად ჩანს, თუ როგორ მიიღეს წევრად ინგლისელი კაცი, ვინმე **ელიას ეშმოლი** ერთ-ერთ ლოჟაში. **1717 წლის 24 ივნისს** კი, ლონდონის ოთხი ლურჯი ლოჟა შეიკრიბა ლონდონის **წმ. პავლეს საკათედრო ტაძრის** ეზოს ტერიტრიაზე, ტავერნაში და შეიქმნა **მსოფლიოში პირველი დიდი ლოჟა**, რომლის დიდ ოსტატად აირჩიეს **ენთონი სოიერი**. 1723 წელს გამოიცა მასონთა კონსტიტუციის წიგნი (**ანდერსონის კონსტიტუცია**). 1751

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს ინგლისში ალტერნატიული დიდი ლოჟა შეიქმნა, რომელიც არ აღიარებდა იმ სიახლეებს, რომელიც მასონურ ორგანიზაციაში ინერგებოდა. თუმცა 62 წლის შემდგომ **1813 წლის 27 დეკემბერს** ეს ორი დიდი ლოჟა გაერთიანდა და ჩამოყალიბდა **ინგლისის გაერთიანებული დიდი ლოჟა** (იგდლ -UGLE). ამ პერიოდისთვის დიდი ლოჟები უკვე ევროპის მრავალ სახელმწიფოში იყო ჩამოყალიბებული და მიუხედავად იმისა, რომ მასონური ლოჟები არ არის ცენტრალიზირებული ერთმმართველობაში და დამოუკიდებლობის უნიკალური ხარისხი გააჩნიათ, ინგლისის გაერთიანებული დიდი ლოჟა მაინც ითვლება ე.წ. **„დედა ლოჟად“**. 1762 წლიდან 1951 წლამდე გაერთიანებული სამეფოს ყველა მონარქი იყო მასონი და იგდლ - ის დიდი ოსტატი. 1951 წელს, ტახტზე ავიდა დედოფალი ელისაბედ მეორე და იგდლ-ის დიდი ოსტატის ადგილი დაიკავა მისმა ბიძაშვილმა, კენტის ჰერცოგმა, პრინცმა ედვარდმა, რომელიც დღემდე ხელმძღვანელობს იგდლ - ს.

მასონური სინათლე აშშ-შიც გავრცელდა და შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის ფუძემდებელი მამების უმეტესობა თავისუფალი ქვისმთლელები იყვნენ, მათ შორის **ბენჯამინ ფრანკლინი**, **ტომას ჯეფერსონი** და **ჯორჯ ვაშინგტონი**. ასევე ცნობილია, რომ აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციის 59 ხელმომწერიდან მინიმუმ 9-14 ხელმომწერი მასონი იყო. აშშ-ის პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი დიდი ლოჟის დიდი ოსტატი იყო და ქალაქ ვაშინგტონის საძირკველში პირველი ქვაკუთხედი სწორედ მასონური ტრადიციით და რიტუალით იქნა ჩადებული. დღეს 5 მილიონზე მეტი მასონია მსოფლიოში, მათგან 2 მილიონზე მეტი ამერიკის შეერთებულ შტატებშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი II. საძმოს ფილოსოფია და საფუძვლები

„ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია“

ვაჟა ფშაველა, 1905 წ.

როდესაც ვეკითხებით მასონებს, არის თუ არა მასონური ორდენი საიდუმლო საზოგადოება, მათი უმეტესობა გიპასუხებთ, რომ ეს არის საზოგადოება საიდუმლოებით. არის გარკვეული საკითხები, რომელთა ცოდნაც მხოლოდ ამ საზოგადოების წევრისთვის არის ხელმისაწვდომი. მიუხედავად ჩვენში არსებული შეხედულებებისა, დღევანდელ რეალობაში მასონები არ იმალებიან, მათი შეხვედრის ადგილები ბევრი ქალაქის ცენტრშია განთავსებული, ყოველგვარი კონსპირაციის გარეშე. მასონები ეწევიან საქველმოქმედო საქმიანობას, ბევრ ლოჟას გააჩნია მრავალი სოციალური პროექტი, ინტერნეტის ქსელში საკუთარი ვებ გვერდი, რაც საზოგადოების ინფორმირებულობისთვის არის გამიზნული.

სამწუხაროდ, ბევრი გამოცემა, თუ სატელევიზიო პროექტი მასონებზე ორიენტირებულია სწორედ „გაყიდვადობაზე“ და არა რეალობის ობიექტურ ასახვაზე. რომელ წიგნს უფრო იყიდით, ინტრიგით აღსავსე და საშინელი ამბებით გაჯერებულს, სადაც მრავალი „მხილებაა“ წარმოდგენილი და სენსაციურად, „საიდუმლოს“ ფარდა აქვს ახსნილი, თუ ისეთ ნაშრომს, რომელ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შიც ობიექტური, მარტივი და ყოველდღიური მასონური იდეალები, აზრები და ფილოსოფიაა წარმოდგენილი?! „მასონური ბრენდი" დღეს მრავალი კომპანიისთვის ჩვეულებრივი ბიზნესია, ამის ნათელი მაგალითი ბოლო წლებში ჰოლივუდის მიერ რამდენიმე გახმაურებული ფილმის გადაღება და მრავალი ავტორის „მყვირალა" სათაურიანი გამოცემებია. ქართული საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ამ ყველაფერს კითხულობს და ეცნობა, გარკვეულ შიშს განიცდის მასონების მიმართ.

ფაქტობრივად, ანტიმასონური კამპანია შუა საუკუნეებიდან მოყოლებული კათოლიკურმა ეკლესიამ ააგორა, რომელსაც მოგვიანებით ევროპის სხვადასხვა მეფე და დიდებული ამოუდგა მხარში. იმ პერიოდში ყოველივე, რაც ეკლესიის ან მონარქის საპირისპიროს ამტკიცებდა (თავისუფალი აზრი საფრთხეს უქმნიდა სუვერენს, მის აბსოლუტურ და იდეალურ მმართველობასა და წყობას) ითვლებოდა დანაშაულად, ერესად და იყო დასჯადი. გავიხსენოთ, როგორ უმოწყალოდ უსწორდებოდა ინკვიზიცია მეცნიერებს, მანდილოსნებს და მოაზროვნე ინდივიდებს!

შესაბამისად, ყველა ეს ადამიანი ერთიანდებოდა საძმოში, მალავდა საკუთარ წევრობას და იკრიბებოდა ფარულად, საკუთარი აზრების ურთიერთგასაცვლელად და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე სამსჯელოდ. მასონობა არც რელიგია და არც პოლიტიკური პარტიაა, იგი მხოლოდ აერთიანებს იმ მამაკაცებს, რომლებსაც სურთ რიტუალურ სიმბოლიკაზე დაყრდნობით შექმნან კარგისგან უკეთესი, გააკეთილშობილონ ადამიანის ზნეობა და მოუტანონ სიკეთე გარშემომყოფთ. მასონური ორდენის კანდიდატის მიმართ უმთავრესი მოთხოვნა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმაღლესი არსების და სულის უკვდავების რწმენაა. საზოგადოების გარკვეული ნაწილი (კათოლიკური ეკლესიის წარსული რიტორიკიდან გამომდინარე) აკრიტიკებს სწორედ ამ ცნებას - რატომ არ არის დაზუსტებული თუ „რომელი" ღმერთი იგულისხმება, ვის გულისხმობენ მასონები **სამყაროს დიად არქიტექტორში**?! პასუხი ცალსახად ერთია და ბევრისთვის ნათელი - **ღმერთი, როგორც ყველაფრის არსებულის შემქმნელი და სულის ჩამდგმელი, არის ერთი**! საძმო მრავალსარწმუნოებრივია, ანუ მასში გაწევრიანებული მამაკაცები სხვადასხვა რელიგიურ კონფესიას მიეკუთვნებიან. ერთი, უნივერსალური ღმერთი არის ამ ადამიანებისთვის საერთო და აღიარებული. სწორედაც, რომ ღმერთია ყოვლისშემძლე და ნამდვილად დიადი არქიტექტორი, რომელმაც შექმნა სამყარო, ადამიანი და ყველაფერი დანარჩენი ამ სამყაროში!

აქვე აღვნიშნავ, მასონად შეიძლება მიღებულ იქნას **მხოლოდ მამაკაცი**, 21 წლის ასაკიდან, რომელსაც სწამს უზენაესი არსების და გამოირჩევა საკუთარი კეთილსინდისიერებით და ზნეობით. მეოცე საუკუნეში, რიგმა იურისდიქციებმა დაუშვეს და შექმნეს ცალკე მდგომი ქალბატონების ლოჟები. ეს არ არის უნივერსალური პოზიცია და დამოკიდებულია იურისდიქციის დიდი ლოჟისა და მასში შემავალი ლურჯი ლოჟების წევრთა შეხედულებებზე. მასონები ძირითადად ქრისტიანი ჯენტლმენები იყვნენ, მაგრამ **მეოცე საუკუნიდან დაიწყო** მუსულმანთა, იუდეველთა და სხვა რელიგიური კონფესიის ადამიანების გაწევრიანება მასონურ ლოჟებში. იგივე სიტუაცია იყო რასობრივი კუთხით - მასონები მხოლოდ თეთრკანიანები იყვნენ, მაგრამ

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდმა რეფორმებმა და საზოგადოების განვითარებამ ამ ასპექტშიც შემოიტანა ცვლილებები.

კლასიკური მასონური განვითარება, მესამე საფეხურის შემდგომ, იყოფა ორ ძირითად მიმართულებად: **შოტლანდიურ** და **იორკულ** წესებად. ხშირად ვახსენებთ ტერმინს - **„რეგულარული“**, ვინაიდან მსოფლიოში მრავლად არის **ფსევდო მასონური** ორგანიზაცია, მაგ. **საფრანგეთის დიდი აღმოსავლეთი** - გრანდ ორიენტი, **მემფის მიცრაიმი** (ორდენი), ტაძრელთა მრავალი თვითმარქვია ორდენი - ისინი არ არიან აღიარებული რეგულარული მასონების მიერ. პროფანისთვის მათი გამიჯვნა რთულია, თუ მას არ აქვს შესწავლილი მასონური ორდენის ისტორია.



აქვე დავძენ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს - ძირითადი ბრძოლა მასონების წინააღმდეგ რელიგიურ კონტექსტში გამართა კათოლიკურმა ეკლესიამ, მისი აბსოლუტური ძალაუფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შესანარჩუნებლად. მართლმადიდებლურ, ანუ აღმოსავლურ ქრისტიანობაში, აღნიშნული ნეგატიური დამოკიდებულება შედარებით ნაკლებად შეინიშნებოდა გასულ საუკუნეებში, ვინაიდან მართლმადიდებლური ეკლესიისთვის საკუთარი მრევლი არასდროს ყოფილა შემოსავლის ან პოლიტიკური კონტროლის და ზეგავლენის წყარო. ამასთანავე, მართლმადიდებლურ ქვეყნებში მასონური ორდენი შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული. საქართველოში მასონური ლოჟები 19-ე საუკუნეში შეიქმნა. დღეს, კათოლიკურმა ეკლესიამ საკუთარი ნეგატიური მოწოდებები მასონების წინააღმდეგ შეამცირა და მრევლისადმი რჩევით შემოიფარგლა (1986 წლის პაპის ბულა). სხვა კონფესიები, აბსოლუტურად ნეიტრალურად უყურებენ მასონობას, მხოლოდ ისლამურ რიგ სახელმწიფოებში შეინიშნება ანტაგონისტური დამოკიდებულება. იქაც იგივე მიზეზია - ისლამის და შარიათის აბსოლუტური მმართველობის შესუსტების შიში და ყველაფერი დასავლურის უარყოფა.

საძმოს წარმოშობის ფესვების ძიებაში შეიძლება დავიკარგოთ. იმის თქმა თავისუფლად შეიძლება, რომ მასონური გილდიები უძველესი დროიდან არსებობს და 18-ე საუკუნეში მოხდა მათი გარდაქმნა და ჩამოყალიბება, ერთიან და მსოფლიო საძმოდ, საერთო ფილოსოფიისა და ცხოვრების წესის ირგვლივ. დიდი მშენებლობა აერთიანებს მასონებს - უკეთესი ადამიანის, უკეთესი საზოგადოებისა და უკეთესი მსოფლიოს შენება.

უკეთესი მსოფლიოს მშენებლობაში მარტივად იგულისხმება მაღალი ზნეობის, სულიერი პრინციპებისა და პლანეტის რესურსების საერთო მოხმარების დანერგვა, კაცობრიობის საერთო მიზნების მისაღწევად. მასონები ეძებენ სინათლეს და ამ სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლის ძიებაში შეიძლება მრავალი წელი ან მთელი ცხოვრება გავიდეს.

თითოეული მასონი თავისუფალია, თითოეული ლოჟა დამოუკიდებელი. რამდენიმე (მინიმუმ სამი) ლურჯი ლოჟა ქმნის ქვეყნის დიდ ლოჟას, რომლის ინსტალირებაში მონაწილეობს სხვა აღიარებული დიდი ლოჟა. ყველა დიდ ლოჟას გააჩნია თავისი იურისდიქცია, რომელიც გარკვეულ ტერიტორიაზე ვრცელდება. ლოჟებში შეიძლება ვიხილოთ განსხვავებული რიტუალებიც, სიმბოლოები თუ შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ საერთო ლენდმარკები უცვლელია და ერთია ყველასთვის. მასონები ხელმძღვანელობენ პრინციპით **"გაუკეთე სხვას ის, რაც გინდა, რომ სხვამ გაგიკეთოს შენ"**, სიკეთე, ქველმოქმედება, სიმტკიცე და გამბედაობა მასონის დამახასიათებელი თვისებებია. პირველ რიგში კი, მასონი ჯენტლმენია, ადამიანი რომელიც ყოველდღე მიისწრაფის თვითგანვითარებისკენ, ოჯახის კეთილდღეობისკენ და სამშობლოს სიყვარულით - ქვეყნის გაძლიერებისაკენ. საკუთარი თავის გაუმჯობესებით, იგი მსოფლიოს გაუმჯობესებისაკენაც მიილტვის.

მასონებისთვის დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს ძველი ივრითი, ძველი ბერძნული და ლათინური ენები. ებრაული ენა არის ბიბლიის გასაღები და მასში დამალული სიბრძნისა და სიტყვის პოვნის საშუალება. ბერძნული არის ფილოსოფიის და შვიდი ძირითადი, ლიბერალური მეცნიერების ენა, ლათინური კი - საკრალური ენაა.

მასონები - საიდუმლო საძმო თუ საძმო საიდუმლოებით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III. დიალოგი პროფანთან ანუ კითხვა - პასუხი

✓ *რა არის მასონობა?*

მასონობა არის მორალურ პრინციპებზე დაფუძნებული საძმო, რომლის საქმიანობაც დამყარებულია ალეგორიულ და სიმბოლიკით აღსავზე რიტუალებზე. **მასონების პრინციპია - ჩვენ ვქმნით კარგი ადამიანიდან უკეთესს!**

✓ *რა არის ოპერატიული და სპეკულატიური მასონობა?*

ოპერატიულ მასონებად ითვლებოდნენ ისინი, ვინც თავისი ხელობით იყვნენ პრაქტიკოსი ქვისმთლელები, ხოლო სპეკულატიური („აღიარებული") მასონები კი არიან ისინი, ვინც საუკუნეების განმავლობაში და საბოლოოდ კი 17-ე და 18-ე საუკუნეებში გაწევრიანდნენ ორდენში, სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანები. რეალურად მათ არანაირი კავშირი არ ჰქონდათ პრაქტიკულ ქვის თლის ოსტატობასთან.

✓ *რომელია მასონების პირველი დიდი ლოჟა?*

1717 წლის 24 ივნისს, წმ. იოანე ნათლისმცემლის ხსენების დღეს, ლონდონში მოქმედი ოთხი ლურჯი ლოჟის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რათა ჩამოეყალიბებინათ პირველი დიდი ლოჟა ინგლისში, რომელიც დღეს უძველეს, „დედა" ლოჟად ითვლება. ეს ლოჟებია : ***Apple Tree, the Crown, The Goose and Gridiron* და *the Rummer and Grapes***, რომელთა წევრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკრიბებოდნენ ლონდონის ამავე სახელწოდების ტავერნებში. დიდ ოსტატად არჩეული იქნა **ენთონი სოიერი**.

1751 წელს მოხდა კრიზისი - ირლანდიელი მასონები, რომლებიც ლონდონში ცხოვრობდნენ, გამოეყვნენ ინგლისის დიდ ლოჟას და ჩამოაყალიბეს **ინგლისის ძველი** (ძველ პრინციპებზე დაყრდნობილი - Ancient) **დიდი ლოჟა**. საბოლოოდ, ორივე ჯგუფი შეთანხმდა საერთო პრინციპებზე და შეერთდნენ ერთ - **ინგლისის გაერთიანებულ დიდ ლოჟაში**.

✓ *რა არის „ანდერსონის კონსტიტუცია"?*

18-ე საუკუნის დასაწყისში **ჯეიმს ანდერსონს** დაევალა დაეწერა მასონების განვითრების ისტორია და მათი პრინციპებისა და წესების წიგნი. შედეგად დაიბადა **„კონსტიტუციის წინგი"**, რომელიც 1723 წელს გამოიცა. ამ კონსტიტუციაში, რომელიც ყველა მასონური იურისდიქციის მიერ არის აღიარებული, მითითებულია მასონის ქცევის და ზოგადად იმ ნორმების ჩამონათვალი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მასონმა ლოჟაში, ოჯახში, საჯარო სამსახურში, არა მასონებთან (**პროფანები**) ურთიერთობაში. მთავარი მოთხოვნები მასონის და ლოჟის მიმართ იყო და არის დამყარებული შემდეგზე: აკრძალულია საუბარი პოლიტიკასა და რელიგიაზე ლოჟის შიგნით, ვინაიდან ლოჟის წევრები შესაძლოა იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური ჯგუფებიდან და ამგვარი საუბრები ლოჟის ფუნქციონირებასა და ძმურ დამოკიდებულებას შეუშლის ხელს. ყველა მასონს უნდა სწამდეს უმაღლესი, ღვთიური არსებისა, ანუ სამყაროს შემქმნელის და სულის უკვდავების. ლოჟის სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხვა წევრი მიეკუთვნება სხვადასხვა რელიგიურ კონფესიას, როგორიც არის ქრისტიანობა, ისლამი, ჰინდუიზმი, ბუდიზმი, იუდაიზმი, ა.შ. მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა იურისდიქციებს შორის, კონსტიტუციის თანახმად, სამი ნიშანი, რომელსაც „დიადი სინათლის" ნიშნებს უწოდებენ, არის საერთო ყველასთვის - **ფარგალი, გონიო და წმინდა სამართლის წიგნი.**

✓ *რა არის მასონური ხარისხები, ე.წ. „გრადუსები"?*

მასონური ფილოსოფია ვითარდება საფეხურების, გრადუსების მიხედვით. ყოველ საფეხურზე მასონი სწავლობს რაღაც ახალს, ცდილობს გაერკვეს როგორც საკუთარ თავში, ასევე მის ირგვლივ სამყაროში. ყოველი გრადუსის მისაღებად საჭიროა ახალი ცოდნა და გარკვეული დრო.

✓ *რას წარმოადგენს მეფე სოლომონის ტაძარი და ლეგენდა ჰირამ აბიფის შესახებ?*

იერუსალიმში, მეფე სოლომონის ტაძრის აგება, ითვლება ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენად მასონურ ისტორიაში. ამ ტაძრის აგების ალეგორიული რიტუალის დროს ხდება მასონისთვის ოსტატის მესამე ხარისხის მინიჭება. მეფე სოლომონი, მეფე დავითის ძე, საკმაოდ ცნობილი ბიბლიური და ისტორიული პერსონაჟია. მისი სახელი, (**SOL** - მზე, **OM** - მერიდიანული მზე და **ON** - დაისის მზე), ასევე ასახავს მასონურ ფილოსოფიაში ლოჟის ოფიცერთა (ლოჟის ოსტატი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსი გუშაგი -Senior Warden და უმცროსი გუშაგი- Junior Warden) ფუნქციებსა და არსს.

ტაძრის მშენებლობისა და დიზაინის აღწერა მოცემულია ბიბლიაში (**მეფენი 5:15-7:51**): ის იყო 60 **კუბიტი** სიგრძეში, 20 კუბიტი სიგანეში და 30 კუბიტი სიმაღლეში. მოგვიანებით შუასაუკუნოვან გილდიების აღწერილობაში ვხედავთ, რომ კუბიტი არის ის ზომა, რომელიც იზომება იდაყვიდან შუა თითის წვერამდე. მის საკურთხეველში მხოლოდ ღირსეული და გამორჩეული პირები შედიოდნენ, იქვე ინახებოდა **წმინდა კიდობანი**.



მასონური ლოჟაც იგივე სიმბოლიკითა და პროპორციებით არის აგებული, როგორც სოლომონის ტაძარი. დიდოსტატი ლოჟაში აღმოსავლეთით ზის, უფროსი და უმცროსი გუშაგები დასავლეთითა და სამხრეთით. არცერთი ოფიცერი არ ზის ჩრდილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთით. ორი სვეტი - **იახინი** და **ბოაზი** წარმოადგენს იერუსალიმის ტაძრის შესასვლელის სვეტებს. ლოჟის განლაგებაშიც ეს სვეტები შესასვლელშია.

პირველად ტაძარი დაინგრა 586 წელს ძვ.წ., როდესაც ასირიელებმა ებრაელების აჯანყება ჩაახშეს. 70 წელი იგი ნანგრევებში იმყოფებოდა, სანამ ბაბილონი არ იქნა დაპყრობილი სპარსეთის მიერ და მეფე **სირიუსმა** არ დართო ნება **ეზრას** და მის სამოცდაათ თანამოაზრეს უკან იერუსალიმში დაბრუნებისა. ტაძარი განახლდა, ყველა გეომეტრიული არქიტექტურული და სიმბო-



Copper engraving c.1750

მეფე სოლომონის ტაძარი

ლური ნიუანსის დაცვით. ეს ტაძარი მოგვიანებით განაახლა იმპერატორმა **ჰეროდოტემ** და ხელახალი ჯანყის შემდეგ, რომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელების მიერ დაინგრა 70 წელს ახ.წ. სწორედ ამ ტაძრის ტერიტორიაზე (ყოფილ თავლასთან) დაბანაკდნენ ჯვაროსნული ომების დროს ტაძრელები იერუსალიმის მეფის ნებართვით. სწორედ აქედან მოდის ლეგენდა, რომ მათ იქ იპოვეს რაღაც წმინდა, ზებუნებრივი ნივთი. რა იყო ეს ნივთი? გრაალის თასი, კიდობანი, წმ. იოანეს თავი? ამავე პერიოდიდან შეიმჩნეოდა ორდენის გაძლიერება და ორსაუკუნოვანი გავლენა მთელს ქრისტიანულ სამყა-როზე. ეს რაინდები ითვლებოდნენ ქრისტეს რწმენის მცველებად და მათი განადგურებით ბევრი მოშურნე იყო დაინტერესებული. **რიჩარდ ბურტოს** სოლომონ მეფესთან დაკავშირებული არაერთი თხზულება აქვს გადმოცემული, მსოფლიოში ცნობილ „ათას და ერთ ღამეში“.

ჰირამ აბიფის, მშენებლისა და ოსტატის, ლეგენდა კი წარმოადგენს მასონური ალეგორიული ფილოსოფიის ქვაკუთხედს. იერუსალიმში ტაძრის ასაშენებლად, მასალით და მშენებლებით მხარდაჭერის თხოვნით, მეფე სოლომონმა ტირიელ **მეფე ჰირამს** მიმართა (**მეფენი 5:8-9**), სანაცვლოდ კი გაუგზავნა საჩუქრები და გადასცა 20 ქალაქი გალილეაში. მშენებლებს შორის იყო სწორედ **ოსტატი ჰირამიც** (**მეფენი 7:14**).

მეფე სოლომონი, ტირიელი მეფე ჰირამი და ოსტატი ჰირამ აბიფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი აღწერილია როგორც „დაქვრივებული ქალის შვილი“, **აბიფ** ანუ **აბ** - ებრაულად მამას ნიშნავს, ანუ ჰირამ აბიფი ნიშნავს, „ჰირამი მამამისია“. ჰირამის მიერ იქნა შემუშავებული ტაძრის არქიტექტურა და დეკორი, ორი სვეტიც - იახინი და ბოაზი, შემეცნებისა და სიბრძნის სიმბოლოები. ამ სვეტების ბოლოს იყო გამოსახული შროშანი. ტაძრის ასაშენებლად გამოყენებული სამი საძირკველის ბოძი წარმოადგენს მასონური ალეგორიული ფილოსოფიის სამ ძირითად კონცეფციას - **სიბრძნე, სიმტკიცე და მშვენება.**

✓ *რას წარმოადგენს „Clavicula Solomonis“ ანუ „სოლომონის გასაღები“?!*

ეს წიგნი არის ყველაზე ძლიერი და ცნობილი ტექსტი, რომელიც ასახავს ძველ მაგიასა და კაბალისტურ ფილოსოფიას. ამ წიგნში წარმოდგენილია 36 თილისმური სიმბოლო და მათი შექმნის დეტალური აღწერა. ეს წიგნი არ იყო დაწერილი ივრითზე და ითარგმნა მხოლოდ 17-ე საუკუნეში. მასში არის მითითებული ისეთი თილისმები, რომლებიც დღეს სულ სხვა სიმბოლური დატვირთვით სარგებლობენ მასებში. მაგ., **ხუთქიამიანი ვარსკვლავი**, იგივე **პენტაგრამა**; ან **ექვსქიმიანი ვარსკვლავი**, რომელსაც **დავითის ფარს** ანუ **მაგენ დავიდს** უწოდებენ. ეს სიმბოლოები, რომელიც დღეს მხოლოდ იუდაიზმთან არის დაკავშირებული, გამოიყენებოდა ბრინჯაოს ხანიდან სხვადასხვა კულტურებში ბრიტანეთიდან მესოპოტამიამდე, ხოლო მოგვიანებით ინდოეთში და იბერიაშიც გამოჩნდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14-ე საუკუნეში კი მეფე კარლოს მეოთხემ ნება დართო ებრაელებს გამოეყენებინათ დავითის ფარი ჩეხეთში, მათი დასახლებების აღსანიშნავად. 19-ე საუკუნეში, ებრაელებმა ქრისტიანების მსგავსად, სურდათ რელიგიური სიმბოლო ჰქონოდათ და სწორედ ამ პერიოდიდან დავითის ვარსკვლავი გახდა იუდაიზმის როგორც რელიგიის სიმბოლო.

✓ *რა არის მასონად ინიციირება და ლურჯი ლოჟები?*

მასონური საძმოს საქმიანობა ხორციელდება ლოჟაში მუშაობით, სიმბოლიკისა და ალეგორიული რიტუალების საფუძველზე. მასონად მიღება ლოჟაში ხდება. კანდიდატს შეუძლია მხოლოდ ითხოვოს და არა მოითხოვოს გაწევრიანება. კანდიდატის შერჩევა ხდება მხოლოდ მისი უდრეკი სურვილის საფუძველზე, და რეკომენდაციით. იგი ავსებს განაცხადს და უგზავნის ლოჟას, რის შემდეგაც 6 თვის თავზე ხდება მისი „დაკითხვა" ანუ გასაუბრება, თუ რატომ სურს გახდეს მასონი და რა მიზნების მისაღწევად. ამის შემდგომ ხდება კენჭისყრა თეთრი ბურთულებით და შავი კუბით. თუ კენჭისყრის შედეგად ერთი შავი ქვაც კი გამოვლინდა, კანდიდატის მიღება არ მოხდება. კენჭისყრა ანონიმურია და შავი ქვის ჩამგდებსაც აქვს სრული უფლება არ დაასაბუთოს მისი გადაწყვეტილება, რომელსაც ყველა სხვა ძმა პატივს სცემს. უარის მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ კანდიდატს არ აქვს სრულად გააზრებული რისთვის წევრიანდება, ან მისი გაწევრიანების მიზანია ანგარება და ამპარტავნება, ან იგი არის ზედმეტად ახალგაზრდა, გააჩნია ფიზიკური ნაკლი, აწევს დიდი ვალი, არის კრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინალი ან სხვა. მასონურ ორდენში, ლოჟაში წევრობა არის პრივილეგია და არა უფლება.

ინიციაციის რიტუალი არის ალეგორიული, სიმბოლური ტრანსფორმაციის მაჩვენებელი. სპეციალურ სამოსში გამოწყობილი, თვალახვეული კანდიდატი ლოჟის შესასვლელში შეჰყავს ერთ-ერთ ძმას, რომელიც მანამდე ფორმალურად ნებართვას ლოჟის დიდოსტატისგან იღებს. კანდიდატს ეკითხებიან მოსვლის მიზეზსა და მიზანს, შემდგომ ინიცირების ცერემონია იწყება.

როგორც ამბობენ, პირველი გრადუსის მინიჭება ყველაზე შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი მოვლენაა. ცერემონიის დროს, კანდიდატს სხვადასხვა კონკრეტულ შეკითხვებს უსვამენ, რაზეც მან ასევე კონკრეტული პასუხი უნდა გასცეს, იგი მიჰყავთ საკურთხეველთან, რომელზეც დევს ბიბლია, ფარგალი და გონიო. ვიღაცამ ამაში შეიძება გარკვეული რელიგიური ნიშნები დაინახოს, თუმცა, ეს მხოლოდ სიმბოლიზმია, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებ. კანდიდატი დებს ფიცს და შემდგომ, ეხილება თვალები. ცერემონია გრძელდება, მას ამცნობენ რამდენიმე საი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმლოს, რომელიც დაშვებულია პირველი საფეხურისთვის. შემდგომ ყველა, მათ შორის კანდიდატიც, გადის ლოჟიდან და უკან უკვე წინსაფრებით ბრუნდებიან (ბატკნის ტყავისგან დამზადებული **აპრონი**). ლოჟის მუშაობის დასრულებისას, მიღებულ ახალ წევრს ულოცავენ და ლოჟის ყველა წევრი მიდის **აღაპზე**. ბევრი ლოჟა იყენებს **ფიქრის ოთახს - Chamber of Reflection**, სადაც კანდიდატი ელოდება ლოჟაში შეპატიჟებას, მანამდე კი ფიქრობს საკუთარ გადაწყვეტილებაზე.

✓ ***რას წარმოადგენს იანე ნათლისმცემლის ლურჯის ლოჟის პირველი სამი ხარისხი?***

<u>პირველი ხარისხი</u> - **შეგირდი**

შეგირდის საფეხური მასონური ხარისხებიდან პირველია, სადაც მამაკაცი, უკვე მასონი, სწავლობს მასონურ ფილოსოფიასა და სტრუქტურას. საშუალოდ, ამ საფეხურზე, მასონი 2 წელიწადი მაინც ჩერდება.

<u>მეორე ხარისხი</u> - ***ოსტატის დამხმარე***

ეს ის საფეხურია, როდესაც მასონი მთელს თავის ენერგიასა და მონდომებას უძღვნის **შვიდი ლიბერალური მეცნიერების** შესწავლას (**ტრივიუმი** - გრამატიკა, რიტორიკა, ლოგიკა და **კვადრიუმი** - არითმეტიკა, მუსიკა, გეომეტრია და ასტონომია). გრამატიკა აძლევს მათ შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი სწორად, რიტორიკა ანიჭებს მათ აზრებს ემოციასა და სილამაზეს, ხოლო ლოგიკა - მათი აზრების სწორად, გამჭვირვა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლედ და დამაჯერებლად გადმოცემის საშუალებაა. ამ საფეხურზე მასონი მინიმუმ ერთ წელიწადს ატარებს.

მესამე ხარისხი - *ოსტატი*

ეს არის ბოლო საფეხური იმ გზისა, რომელსაც მასონად ჩამოყალიბება ჰქვია. ყველა ოსტატს გააჩნია თანაბარი უფლება და მოვალეობა ლოჟის წინაშე. მესამე გრადუსში ინიცირება ხდება განსაკუთრებული რიტუალის გამოყენებით, რომელიც დაკავშირებულია ბიბლიურ პერსონაჟთან - ჰირამ აბიფთან და მისი მკვლელობის ისტორიასთან.

ლეგენდის თანახმად, ჰირამი მისმა მოსწავლეებმა, მშენებლებმა მოჰკლეს. მათ ერქვათ **ჯუბილა, ჯუბილუმ და ჯუბილო**. სამივე მათგანი ცალცალკე ცდილობდა ჰირამისგან მიეღო **მთავარი სიტყვა,** ღმერთთან ურთიერთობის გასაღები. ჰირამმა სამივე უარით გაისტუმრა, განრისხებულმა ოსტატის დამხმარეებმა გაიმეტეს არქიტექტორი და მოკლეს. სწორედ ამ ამბის გარშემო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარდება ის რიტუალი, რომელიც წინ უძღვის მასონის ოსტატად საბოლოოდ ჩამოყალიბებას.

ამ წიგნის პირველი ნაწილის სამ თავში შევეცადე მოკლედ გადმომეცა მასონური საძმოს წარმოშობის ზოგადი ისტორია, მასონური ფილოსოფიის საფუძვლები და წარმომედგინა ის პირველადი, აუცილებელი ინფორმაცია, რაც მკითხველმა ზოგადად უნდა იცოდეს მასონების შესახებ, მანამ, სანამ დაიწყებს საინტერესო მოგზაურობას მათ საიდუმლოებით მოცულ სამყაროში. შემდეგი თავი კი მოკლედ აღწერს მასონურ ორდენში გამოყენებულ ძირითად სიმბოლიკას და ნიშნებს, ხოლო წიგნის მეორე ნაწილში, უკვე პირად გამოცდილებაზე და ორდენში ინიცირების ნიუანსებზე ვილაპარაკებ.

თავი IV. მასონური სიმბოლიკა

მასონური სიმბოლიკა ყოველთვის იწვევს დისკუსიას და ბადებს უამრავ კითხვას, განსაკუთრებით მათ შორის, ვისაც ნაკლებად აქვს შეხება სემიოტიკასთან, ანუ მეცნიერებასთან რომელიც სიმბოლიკას სწავლობს. სხვადასხვა კულტურაში ერთიდაიგივე სიმბოლო შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობით გვხდებოდეს. მასონური სიმბოლიკა არის უჩვეულო, ორიგინალური და დახვეწილი, ამავე დროს, მასში გამოყენებულია სხვადასხვა კულტურისთვის დამახასიათებელი სიმბოლოები, რომლებიც მასონურ ფილოსოფიაში სხვა ალეგორიულ, სიმბოლურ დატვირთვას ატარებენ ვიდრე ამათუიმ საზოგადოებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მაინც, როგორია მასონური სიმბოლიკა? მასონურ საძმოში უამრავი სიმბოლოა, შევეცდები ყველაზე გამოკვეთილი რამდენიმე სიმბოლო წარმოგიდგინოთ. იმედს ვიტოვებ, რომ ამ სიმბოლოების ადეკვატური და სწორი აღქმა გახდება შესაძლებელი.

პენტაგრამა

ყველაზე საკამათო და იდუმალი სიმბოლო არის პენტაგრამა, ხუთქიმიანი ვარსკვლავი. ერთის მხრივ ეს სიმბოლო არქაულია და მიანიშნებს მასონურ ფილოსოფიაში ხუთ ცნებას, საკითხს, ქვაკუთხედს მეგობრობისა, ფართო პროფანულ მასებში კი ეს სიმბოლო დაკავშირებულია ხშირ შემთხვევაში დემონიზმთან.



კორნელიუს აგრიპა მიუთითებდა, რომ პენტაგრამა წარმოადგენს სიმბოლოს ადამიანისა და კოსმოსის ურთიერთობისა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოსმოსური ენერგიის (გავიხსენოთ ლეონარდო და მიქელანჯელო), კოსმოსისა, რომელიც არის ღმერთის შექმნილი, ღმერთის ნიშანი. **პითაგორას** აზრით პენტაგრამა არის სიმბოლო გონებრივი და ფიზიკური ჰარმონიისა.

პენტაგრამას არანაირი კავშირი დემონებთან და ანტიქრისტესთან არ აქვს, იგი ქრისტიანობამდე არსებობდა და მოგვიანებით ის ქრისტიანული სიმბოლოც გახდა! დიახ, პენტაგრამა, ანუ ხუთკუთხა, ხუთწვერა სამკუთხედი წარმოადგენს ქრისტეს ჯვარცმას და მის ხუთ ჭრილობას.

❖ *ჭადრაკისებური (შავ-თეთრი) იატაკი*

მასონურ სიმბოლიკაში შავ-თეთრი, ჭადრაკისებური იატაკი, წარმოადგენს მსოფლიოს დუალიზმის სიმბოლურ ასახვას, ნეგატიურის და პოზიტიურის ცვალებადობას.

❖ *აკაციის ყლორტი* - მარადიულობის, უკვდავების სიმბოლო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

❖ *სამი ანთებული სანთელი*

ყველა ლოჟას გააჩნია სამი სინათლის წყარო - ანთებული სანთელი მუშაობის დროს, რომელიც მზის, მთვარის და ოსტატის აღმნიშვნელია.



❖ ***მასონური ორდენის წმინდანები:*** წმ. იოანე ნათლისმცემელი; წმ. იოანე მახარობელი; წმ. ანდრია პირველწოდებული და წმ. ბარბარე

❖ *ფარგალი და გონიო*

ეს სიმბოლიკა წარმოადგენს სრულყოფილებისკენ მოძრაობას, სულიერსა და ფიზიკურს შორის ბალანსს. ფარგალი წარმოადგენს სულს, გონიო კი - ფიზიკურ, მატერიალურ საწყისს.

❖ *დახვეული კიბე*

პირველი სამი საფეხური აღნიშნავს ოსტატის სამ იარაღს, შემდეგი ხუთი - არქიტექტურისა და გრძნობების სიმბოლოებს, ხოლო ბოლო შვიდი - ლიბერალურ მეცნიერებებს

მასონები **- საიდუმლო საძმო თუ საძმო საიდუმლოებით?**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი მეორე

In hoc signo vinces

მეორე ნაწილი მთლიანად დავუთმე ჩემს პირად გამოცდილებას. მოკლედ მინდა გადმოგცეთ ჩემი ემოციები, ის რაც განვიცადე, რაც ვნახე და რაც შემიძლია რომ მოგიყვეთ. შევეცდები, რომ ეს ყოველივე არ იყოს მშრალად გადმოცემული და ოდნავ მაინც მხატვრულ თხრობას დავამსგავსო.

ერთხელ დაისვა შეკითხვა - რატომ და ვინ შეიძლება გახდეს მასონი? მე ვუპასუხე - მასონი „ვერ გახდები" - ეს შენში უნდა „იდოს" და უბრალოდ განგებამ უნდა მიგიყვანოს სინათლემდე. რატომ? - ამ კითხვაზე ვერავინ გიპასუხებთ, ეს თავისთავად მოდის.

მკითხეს, თუ რა უნდა მასონს, რას ეძებს იგი? ესეც პრინციპულად რიტორიკული შეკითხვაა. მასონი არის ინდივიდი, როგორც მასონობა ინდივიდების ფილოსოფიაა. ყოველი მასონი თავისუფალია საკუთარ ძიებაში და მისი გზაც განსხვავებულია მისი ძმების გზებისგან, შინაგანი გზებისგან. შეკითხვაზე პასუხს ყველა სხვადასხვა დროს და განზომილებაში იღებს.

წიგნის მეორე ნაწილი მოგითხრობთ თუ როგორ გავხდი მასონი, რა მოვლენები უსწრებდა წინ ამ განსაკუთრებულ დღეს ჩემს ცხოვრებაში. მასონური ფილოსოფიის მთავარი გაკვეთილია - იმისათვის, რომ გაიგო, უნდა შეიცნო - განიცადო.

შევეცდები, რომ ემოციურად განიცადოთ ჩემი პირველი ნაბიჯები, თუმცა რიტუალის სრულ სურათს ვერ წარმოგიდგენთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი I. „მე მინდა გავხდე მასონი“

Nullius in Verba

ინტერესი მასონების მიმართ ყოველთვის მქონდა. ეს ინტერესი არ იყო კონკრეტული მიზანი მათ საძმოში გაწევრიანების, უბრალოდ ინტელექტუალური ინტერესი, იმის რაც შეუცნობელია და რაც ბურუსით არის მოცული. წლების განმავლობაში ვკითხულობდი სხვადასხვა სახის ლიტერატურას, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ ენებზე. სამწუხაროდ, ღირებული ლიტერატურა ქართულად მაშინაც არ არსებობდა.

2003 წელს მომიხდა რამდენიმე ამერიკელ და ევროპელ მასონთან პროფესიული ურთიერთობა. გვქონდა ხანგრძლივი და საინტერესო საუბრები, დისკუსიები, იდეათა გაცვლა. კვიპროსზე გავიცანი ინგლისელი მასონები, რომლებიც ჩემთვის ყველაზე საინტერესო მოსაუბრენი აღმოჩნდნენ. მოგვიანებით, მომიწია ინგლისში ცხოვრება და სწორედ იქ გავიცანი განსაკუთრებული ადამიანები, რომლებიც დღეს ჩემთვის უდაოდ ავტორიტეტული ძმები და ზოგადად მოაზროვნე პიროვნებები არიან. ასევე, ხშირად მიწევდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და დასავლეთ ევროპაში მოგზაურობა და იქაც საკმაოდ მნიშვნელოვანი კონტაქტები გამიჩნდა.

მასონურ საძმოში გაწევრიანება საფრანგეთში გადავწყვიტე. თითქმის ყველაფერი მზად მქონდა, როდესაც ჩემს მობილურ ტელეფონზე გაისმა ზარი. მომესალმა ჩემი ნაცნობი და ჩემდა გასაკვირად დამისვმა შეკითხვა - მასონებზე რაიმე თუ იცი?! ეს ზარი ჩემს გამგზავრებადმდე რამდენიმე კვირით ადრე გაის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა. გულახდილად ვუთხარი, რაღაც გამეგება და კონკრეტულად რა გაინტერესებს მეთქი. შევხვდით და ვისაუბრეთ. ზოგადი საუბრის ბოლოს დამისვა შეკითხვა - გაწევრიანებაზე ხომ არ გიფიქრიაო. ჩემი გეგმები არ გავუმხილე, - აბა როგორ და სად, საქართველოში ამის პერსპექტივა არ არის მეთქი.



და სწორედ საუბრის დასასრულს მითხრა, ვაშინგონელმა მეგობრებმა შემოგვთავაზეს ორდენის წევრობა, თან ისე, რომ არ მოგვიწიოს ხშირად (თვეში ერთხელ მაინც) მოგზაურობა აშშ-ში, ამის შესაძლებლობა არის ერთ-ერთ მეზობელ სახელმწიფოშიო. მეც გადავიწყვიტე, ვაშინგტონის დიდი ლოჟის დახმარებით, ფაქტობრივად რეგიონიდან გაუსვლელად და თან დაპირებისამებრ შედარებით მოკლე ვადაში - რატომაც არა?! ამ გადაწყვეტილებით დაიწყო ჩემი სიბნელიდან სინათლისკენ მოგზაურობა.

თავი II. პირველი ნაბიჯი

ნერვიულობა, მიუხედავად მზაობისა და თეორიული ცოდნისა, მატულობდა. სუსხიანი, მაგრამ მზიანი დღე იყო და რამდენიმე ქართველი საღამომდე ვსეირნობდით პატარა ქალაქის პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩებში. თან ერთმანეთს ვაგულიანებდით და ვფიქრობდით, თუ რა მოხდებოდა საღამოს.

და აი, საღამოს ჩვენმა ადგილობრივმა გზამკვლევმა წყნარად დააკაკუნა ერთ-ერთი ლოჟის კარებზე...

„ყველაფერი გაიხადეთ, მოიხსენით ყველა ძვირფასი ნივთი და საათი, დაალაგეთ თასზე“ - იყო დავალება, დაბალი ულვაშებიანი კაცისაგან, რომელიც გამოწყობილი იყო შავ კოსტუმში და თეთრ პერანგში. ხელზე თეთრი ხელთათმანები ეკეთა, ჩემთვის საკმაოდ ნაცნობი სიმბოლიკით. მას ხელთ საკმაოდ დიდი ხმალი ეპყრა და მკაცრი მზერით გვიყურებდა.

ნერვიულად დავიწყეთ განმოსვა, თან ერთმანეთს თვალებში ვუყურებდით, ვამხნევებდით.

შეგვიყვანეს სპეციალურ ოთახში, სადაც თითო კანდიდატზე თითო სკამი იყო გამოყოფილი, რომელზეც დავინახეთ თეთრი სამოსი, რაღაცით პიჟამოს მივამსგავსეთ და შავი ასახვევი, თვალებისთვის. როგორც იქნა ჩავიცვით ეს სამოსი, აგვიწიეს ერთ-ერთ ფეხზე შარვლის ტოტი, თვალებზე კარგად აგვიხვიეს და თავი ვიგრძენით საკმაოდ უსუსურად, მივხვდით, რომ ყველაფერი რაც იყო აქამდე უნდა შეცვლილიყო. ერთმანეთის ზურგს უკან მიყოლებით ჩაგვამწკვრივეს, მარჯვენა ხელი თითოეულს წინა მდგომის მარჯვენა მხარზე გვედო. უფრო სწორად, ყველას ასე ედო, მე კი პირველი ვიდექი და მომიწია გზამკვლევის ხელის მოკიდება. შიგნით გვესმოდა ჰიმნის ხმა, ეს იყო ცნობილი „ვიენა“. ვცდილობდი, რაიმე დამენახა თვალ ახვეულს, მაგრამ უშედეგოდ, კარგად იყო ახვეული თვალსაბურავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მზად არიან?“ - ვიღაცამ იკითხა საკმაოდ დაბალ ხმაზე და შესაბამისი დასტური მიიღო ულვაშასგან. მიგვიყვანეს კართან, სადაც ლოჟის შეხვედრა იმართებოდა და გაისმა ხმა - „განგაშია“. ცივმა ოფლმა დამასხა და ვიგრძენი როგორი დაჭიმული იყო მთელი ჩემი სხეული. შემდეგ თითოეულ ჩვენთაგანზე განმეორდა ერთი და იგივე წარდგენა, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერდა : „ესა და ეს ბატონი, სიბნელეში ღარიბი მოგზაური, რომელიც იქნა შერჩეული, მიღებული და ნებადართული პატივცემული ლოჟის მიერ და რომელმაც საკუთარი ნებით გადაწყვიტა შეუერთდეს მასონურ მისტერიებსა და საიდუმლო პრივილეგიებს“. როგორც მივხვდით, ჩვენი მოსვლა ამცნეს პატივცემულ ლოჟის ოსტატს და ლოჟას. მას შემდეგ, რაც ყველა სათითაოდ წარგვადგინეს, კარი შიგნიდან გაიღო და ვიგრძენით თბილი ჰაერი, რომელიც დარბაზიდან გამოვარდა. გზამკვლევმა სამი ნაბიჯი გადამადგმევინა და უეცრად გულის მხარეს, მკერდზე ვიგრძენი ცივი იარაღის ბასრი წვერი.

„შემოდი ამ ღრმად პატივცემულ ლოჟაში, სამყაროს დიადი არქიტექტორის სახელით და რიდით!“ გარკვეული მოკლე კითხვა-პასუხის შემდგომ, იარაღის ბასრი წვერი მოსცილდა ჩემს მკერდს და ვიგრძენი, სიბნელით მოცულმა, თუ როგორ მომკიდა მარჯვენა ხელზე ვიღაცამ და ნელა, დინჯად შემიძღვა ლოჟაში. როდესაც ყველამ გაიარა ეს „პროცედურა“, ისევ მწკრივში დაგვაყენეს და გაისმა ხმა - „შენ არ შეგიძლია გახდე მასონი, თუ არ ხარ თავისუფლებაში დაბადებული, არ გაქვს შესაბამისი ზრდასრული ასაკი და ამიტომაც გეკითხები, ხარ თუ არა თავისუფალი და ხარ თუ არა 21 წლის?!“ ჩემს მარცხნიდან მომესმა კარნახი – „უპასუხე, - დიახ“ და მეც ვუპასუხე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიგრძენი, რა დიდი ძალა დამჭირდა ამ ერთი სიტყვის ამოსათქმელად.

დავიძარი ნელ-ნელა, სადღაც მიმიყვანეს და მიბრძანეს მუხლზე დავმდგარიყავი. აქ სხვა ხმა მომესმა, სხვა ადამიანის, რომელიც იყო უფრო მკაცრი და ოფიციალური.

„შეგვეწიე, სამყაროს დიადო და უზენაესო მმართველო, ამ მნიშვნელოვან ჟამს, და დაგვეხმარე ჩვენც და სიბნელეში მოგზაურსაც, რომელიც ეძებს სინათლეს, მასში რომ იგი გახდეს საძმოს ღირსეული და ერთგული წევრი“.

ამას ყველაფერს მრავალი შეკითხვა და პასუხი მოჰყვა და თან ეს ყველაფერი რიგრიგობით ხდებოდა, სანამ ერთი ჩვენთაგანი არ დაასრულებდა, მეორე ელოდებოდა. ესეც გამონაკლისი იყო, ვინაიდან ინიცირება საერთოდ ხდება ერთი კანდიდატის, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში გადაწყდა სამი კანდიდატი ერთად მიეღოთ.

ფეხი საშინლად დამეჭიმა, კონცენტრაცია მიწევდა იმაზე, რომ წონასწორობა შემენარჩუნებინა. „როგორ აპირებს მასონური პრივილეგიების მიღებას“ - დაისვა შეკითხვა, რაზეც ჩემმა გზამკლევმა უპასუხა - „წმინდა კანონის დახმარებითა და კარგი რეპუტაციით“.

„ადასტურებ თუ არა, შენი ღირსებით და პასუხით, რომ საკუთარი ნებითა და სურვილით, ყოველგვარი დაძალებისა და/ან მატერიალური დოვლათის მოხვეჭის სურვილის გარეშე ან სხვა ამპარტავნებების გარეშე, გადაწყვიტე იმოგზაურო სიბნელეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინათლის საძიებლად და მასონურ ორდენში გაწევრიანდე?“ – „დიახ“ - ვუპასუხე მე.

მოგზაურობა დაიწყო... კვლავ მუხლზე და სიბნელეში, გაისმა ლოჟის ოსტატის მკაცრი ხმა:

„მზად ხარ თუ არა აიღო ის დიდი პასუხისმგებლობა და დაიცვა ის პრინციპები, რომელზეც მე ვისაუბრე? დაიცვა და შეინახო ორდენის ყველა საიდუმლო?“ – „დიახ, მზად ვარ“, იყო ჩემი პასუხი. რიტუალი უკვე ერთი საათი გრძელდებოდა, ჩემთვის ეს დრო მთელი საღამოს ტოლფასი იყო, ორიენტაცია დაკარგული, სიბნელეში, ცალ მუხლზე და შეგრძნება, რომ ხარ მარტო, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი დარბაზი იყო სავსე და ყველა დაკვირვებით მათვალიერებდა. თან რაც მთავარია, ჩემს მოღეღილ მკერდს კვლავ ბასრი ცივი იარაღის წვერი „მიაბჯინეს“, მუხლი მიკანკალებდა და ნერვიულობაც მატულობდა.

ხანგრძლივი შესავლის შემდგომ, გარკვეული კითხვა-პასუხის დასრულებისას, დაიწყეს კანდიდატის ფიცის წაკითხვა, რომელიც მეც უნდა გამემეორებინა კვალდაკვალ. ფიცი ზოგადად ასახავდა პრინციპების ერთგულებას და გამხელილი საიდუმლოს შენახვას, მის არ გამჟღავნებას არანაირი ფორმით და საშუალებით.... „და თუ დავარღვევ მე ჩემს ფიცს, დაე ღირსი ვიყო გამომჭრან ყელი, ამომაგლიჯონ ენა და ჩემი უღირსი სხეული დაიმარხოს სანაპიროს იმ ნაწილში სადაც ხშირია წყლისა და ქვიშის მიქცევ-მოქცევა“. ამ ბოლო ფრაზამ, ცოტა არ იყოს, დამავიწყა მუხლის კრთოლვაც და ხმლის ბასრი წვერიც... მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი - ეს ფიცი იყო შედგენილი საუკუნეების წინ, როდესაც მთელი საძმოს უსაფრთხოება იყო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამყარებული თითოეულის ერთგულებასა და კონფიდენციალურობაზე, მაგრამ ფიცის ამ ნაწილმა მაინც გამოიწვია თავისი ამაღელვებელი ეფექტი.

კვლავ სიბნელე...

დიდოსტატმა დაასრულა გამოსვლა და მიბრძანა, - „შეეხე წმინდა სამართლის წიგნს“, მე შევყოყმანდი, გუნებაში გამიელვა, თუ ბიბლიის რომელი გამოცემა იდო ჩემს წინაშე? ბოლოს გადავწყვიტე მეამბორა, რადგან რაც არ უნდა ყოფილიყო ჩემს წინ, ის მხოლოდ ასახავდა ჩემს სიმართლესა და ღრმა რწმენას.

და აი, გაისმა დიდოსტატის მოწოდებაც „დაე გადმოვიდეს სინათლე სიბნელეში მოგზაურზე“, მომესმა დაახლოებით ორმოცი ხელის მიერ გამოცემული უეცარი, ტაშის მსგავსი ხმა რომლის სინქრონულადაც ამხადეს შავი თვალსაბურავი. სინათლე გეგონება შემოიჭრა არა მხოლოდ ვიზიალურად, არამედ შინაგანადაც, თუმცა კვლავ ორიენტაციადაკარგული ვიდექი.

ჩუმად შევათვალიერე დარბაზი, ისე რომ აშკარად არ გამომსვლოდა, დავაკვირდი იქ მყოფთ და ნელ-ნელა დავმშვიდდი, რაღაც განსაკუთრებული გრძნობა დამეუფლა. ალბათ, მსგავსი გრძნობა აქამდე არც მქონია. სიბნელე გაქრა, იყო თბილი სინათლე, სხივი და გარშემო ადამიანები, რომლებიც ჩემთვის უცხო აღარ იყვნენ.

ლოჟის ოსტატმა გააგრძელა - „მას შემდგომ რაც შენ იხილე ფიზიკური სინათლე, შენს ყურადღებას შევაჩერებ, იმ სამ მნიშვნელოვან სინათლეზე, ლენდმარკზე, რომელიც თავისუფალი მასონისთვის უპირველესია.“ მან მიმანიშნა დარბაზის შუაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგარ საკურთხეველზე, რომელზეც იდო ბიბლია, ფარგალი და გონიო. „წმინდა კანონი არეგულირებს ჩვენს სულიერ მყოფადობასა და განვითარებას, გონიო ჩვენს საქმეს და საქციელს ზომავს, ხოლო ფარგალი გარკვეულ ფარგლებში მოიაზრებს ჩვენს დამოკიდებულებას სხვების მიმართ". ლოჟის ოსტატმა მომკიდა ხელი, წამომაყენა და განაცხადა „ადექი, ახლად ინიცირებულო შეგირდო, მასონო!"

თავი III. მეორე ნაბიჯი

„The lambskin apron of Freemasonry is more ancient than the Golden Fleece or Roman Eagle and more honorable than the Star and Garter"

მას შემდეგ, რაც ჩემი ინიცირება მოხდა ამ კაცობრიობის უძველეს დახურულ ორდენში, მე, რა თქმა უნდა, მეტი დრო დავუთმე ჩემს „ინტელექტუალურ-მასონურ" აღზრდასა და განათლებას. დიდი არქიტექტორის ნება იყო, რომ რამდენიმე იურისდიქციაში პატივსაცემ ლოჟებში ვესწრებოდი მუშაობას, ინტელექტუალურ და პრაქტიკულ შეხვედრებს, დისკუსიებს, და ა.შ. მრავალი ისეთი ფაქტი აღმოვაჩინე, რაც ჩემთვის მანამდე უხილავი იყო... თუნდაც ის, რომ მასონური ფილოსოფია ყველასათვის სხვადასხვაა თვით ორდენში; ის, რომ ყველა მასონი „ერთნაირი არ არის"... ჩემი პირადი მოსაზრებით მასონური ორდენის ყველაზე მნიშვნელოვანი საგანძური მისი **ეზოთერული** საფუძვლებია. მასონთა ასაკი (დემოგრაფიულად თუ შევაფასებთ) საკმაოდ ხანდაზმულია, ახალგაზრდებს კი სწორედ ეს **ჰერმეტიკული, ეზოთერული** საფუძვლები იზიდავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორდენში. მას შემდეგ, რაც მასონი აღწევს ოსტატის საფეხურს, მისი გადასაწყვეტია თუ როგორ გააგრძელებს ორდენში განვითარებას, ზოგი მხოლოდ ორდენის „სოციალური" ანუ სერვისული მხარით არის დაინტერესებული, სიამოვნებს სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრაზე დასწრება, საქველმოქმედო საქმიანობა, წვეულებები და ა.შ. ამ მამაკაცების, მასონების გარეშე ჩვენი ორდენი არ იქნებოდა ყველაზე დიდი, მდიდარი და გავლენიანი ორგანიზაცია, რომელიც მრავალ კეთილ და საჭირო საქმეს ახორციელებს მსოფლიოში. ორდენში არიან ისეთებიც, ვისაც უფრო ღრმად აინტერესებს მასონური ეზოთერული მისტერიები, ცოდნა და საიდუმლოებანი. ასეთი მასონების რიცხვი გაცილებით ნაკლებია, თუმცა სწორედ ისინი არიან მასონური ფილოსოფიის გამგრძელებლები...

მეორე ხარისხის ანუ ოსტატის დამხმარეს საფეხურზე ინიცირებისას მასონს ბიბლიურ ამბავს უამბობენ. **ეფრეიმიტებს** მდინარე იორდანის გადმოლახვა და გალილეას დაპყრობა სურდათ. გალილეელებმა დაამარცხეს ეფრეიმიტები და გაქცეული მტრის იდენტიფიცირება, რომ მარტივი ყოფილიყო, გალილეის მეფის ბრძანებით, ყველას ვისაც მდინარის გადალახვა სურდა უნდა წარმოეთქვა სიტყვა, რომელსაც ეფრეიმიტები განსხვავებულად წარმოსთქვამდნენ და პატრულის მსხვერპლიც ხდებოდნენ.

შვიდი აუცილებელი დისციპლინის გარდა, ამ საფეხურზე მასონი თეორიულ ცოდნასთან ერთად მეტ პრაქტიკულ გამოცდილებას იღებს და ნელ-ნელა ადის დახვეულ კიბეზე **Sanctum Sanctorum**-ისკენ (წმიდათა წმინდა). ამ საფეხურზე მასონს კიდევ სამი სამუშაო ინსტრუმენტი ემატება, მათ შორის მართი კუთხის გასასწორებელი თარაზო და სიმაღლის საზომი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოხან შეფლერის ლექსი მახსენდება (Johann Scheffler; 1624-1677), რომელიც **ანგელუს სილესიუსის** (Angelus Silesius) ფსევდონიმით იყო ცნობილი :



I know that without me
God can no moment live;
Were I to die, then He
No longer survive.

I am as great as God,
And he is small like me;
He cannot be above
Nor I belove Him be.

In me God is fire
And I in him its glow;
In common is our life,
Apart we cannot grow.

He is God and man to me,
To Him I am both indeed;
His thirst I satisfy,
He helps me in my need.

God is such as He is,
I am what I must be;
If you know one, in truth
You know both him and me.

I am the vine, which He
Doth plant and cherish most;
The fruit which grows from me.
Is God the Holy Ghost.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ლექსის არსი სწორედ მაშინ გაცხადდა ჩემთვის, როდესაც ორდენში ინიცირებიდან 2 წელი გავიდა და მეორე ნაბიჯი გადავდგი. მზად ვიყავი და ველოდებოდი ამ დღეს...

ისევ „თეთრი პიჟამო“, გავიარეთ დახვეული კიბე, დამატებითი ფიცი, დამატებითი ცოდნა, დამატებითი პასუხისმგებლობა, და ბოლოს ჩრდილოეთიდან სამხრე თით გადავინაცვლე!

პრომეთე - ადამიანებისთვის სინათლის მომტანი დასჯილი ტიტანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეპილოგი

აი, ასეთი იყო ჩემი პირველი ნაბიჯები. მას მერე ბევრი ახალი და საინტერესო გავიგე, შევიცანი, გავიაზრე და მივხდი, რომ ჩემი არჩევანი სწორი ყოფილა, გზა სინათლისაკენ კი გრძელი. ჩემს არჩევანს, ალბათ, საქართველოში ბევრი ვერ გაიგებს, ვერ მიხვდება, რატომ გადავდგი ეს ნაბიჯი. საქართველო ბოლო 2 საუკუნე რუსული იმპერიისა და საბჭოთა ბოროტების მანქანის წნეხში იყო. ქვეყანა, საზოგადოება ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა, ხდებოდა მრავალი დადებითი თვისებისა და ტრადიციის აღმოფხვრა, ერის დეგრადაცია. ქართველი ყოველთვის იყო მშრომელი და ტოლერანტი, კოსმოპოლიტი და სტუმართმოყვარე, თუმცა საბჭოთა პერიოდში ეს თვისებები ნელ-ნელა მოგვიშალეს და აზროვნების შეცვლის გზით ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის განადგურებას ცდილობდნენ.

იმ პერიოდში, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში მრავალი მასონური ლოჟა ოფიციალურად გამოვიდა ჩრდილიდან, მეტნაკლებად წარუდგა საზოგადოებას, ამცნო ლოჟის შეკრების ადგილი, ოფიცერთა ვინაობა და, თუ შეიძლება ითქვას, „საზოგადოებრივი ურთიერთობები" განავითარა, ჩვენი ქვეყანა ბოროტებისა და უღმერთობის რკინის ფარდის მიღმა იყო. ამასთან, საქართველოში მასონური ორდენის არსებობა ქვეყნის გასაბჭოებასთან ერთად დასრულდა, შემდეგ იყო 90 წლიანი პაუზა რამაც აგრეთვე ნეგატიურად იმოქმედა ქართული საზოგადოების ინფორმირებულობაზე... არადა, მეოცე საუკუნის დასაწყისში მრავალი ცნობილი და ღირსეული ქართველი იყო მასონური გილდიის წევრი, მათი უმეტესობა საფრან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთში გადაიხვეწა და იქ გარდაიცვალა. იქაც როგორც თავისუფალი კალატოზები ისე ცხოვრობდნენ, შექმნეს ორი ქართული ლოჟა **„ოქროს საწმისი“** და **„პრომეთე“**; და სამუდამო განსასვენებელი ჰპოვეს **ლევილის** სასაფლაოზე.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ჩვენში ნაკლებად „ეცალათ“ მასონური ორდენის შესახებ „განათლების“ მისაღებად, ხალხი ლუკმა-პურის შოვნაზე იყო გადასული. მძიმე ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა ჩვენი საზოგადოების ნაწილი, შეიძლება ითქვას, ზომბირებულ მდგომარეობამდეც კი მიიყვანა. 2009 წლის ბოლოდან და განსაკუთრებით კი 2010 წლის დასაწყისიდან, რამდენიმე ძმამ, რომლებმაც უცხოეთში სხვადასხვა ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებში გავიარეთ ორდენში ინიციაცია, გადავწყვიტეთ შეგვექმნა საქართველოში პირველი ლოჟა, ამისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, გავხსენით მასონური კლუბი, რომელიც ახალი წევრებისა და კანდიდატების სამჭედლოდ იქცა.

ყველას ყოველთვის ვუხსნით, რომ ჩვენ არა ვართ არც რელიგიური ორგანიზაცია და არც პოლიტიკური გაერთიანება. როგორც მასონებს, არ გვაქვს კავშირი რელიგიასთან და პოლიტიკასთან. ლოჟაში განსახილველად ეს აკრძალული საკითხებია და არ წარმოადგენს ჩვენი ინტერესის სფეროს. არც ვინმეს ან რაიმეს „ვემსახურებით“. ორდენი არ არის საიდუმლო ორგანიზაცია, მას მხოლოდ შიდა საიდუმლოებები გააჩნია, როგორც ყველა სხვა ორგანიზაციას, ოჯახს თუ პიროვნებას. ჩვენი მიზანია საკუთარი თავის შეცნობა, განვითარება, ადამიანის მორალური და ეთიკური თვისებების წარმოჩინება და განმტკიცება. კარგი ადამიანი, რომელიც უკეთესი ხდება, არის საზოგადოების შემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენელი ნაწილი, საზოგადოება კი - როგორც ერთიანი ორგანიზმი, სახელმწიფოს მამოძრავებელი ძალაა. ჯანსაღი და განათლებული საზოგადოება ქმნის სტაბილურ და ღირსეულ სახელმწიფოს, რომელსაც თავისი ფუნქცია, როლი და ამოცანა გააჩნია მსოფლიო, გლობალურ სივრცეში. საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი საზოგადოება დეგრადირდება და ქრება.

ვაჟა ფშაველა მეოცე საუკუნის დასაწყისში წერდა: **"ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, - რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრედვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში."**

ბოლო წლებში ჩვენი საზოგადოების ნაწილში შეიმჩნევა აგრესიული რიტორიკა, დაპირისპირების სურვილი, რეაქციული მიდგომა სხვის, განსხვავებულის მიმართ. ვივიწყებთ სიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულს, ტოლერანტობას, ურთიერთპატივისცემასა და მოსმენას. ეს სიბნელის, გაუნათლებლობის და პესიმიზმის ნიშნებია.

„ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოგდება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად“, - რა ოქროს, გონივრული და წინდახედული სიტყვებია, ვაჟა ამ ყველაფერს 1905 წელს წერდა...

მასონურ ორდენს „მიზანი“ არ აქვს, მისი არსებობა უკვე მიზანია. თითოეული მასონი ინდივიდუალურად ავითარებს საკუთარ თავს და მისი გზა სინათლისკენ ინდივიდუალიზმით არის აღსავსე. ძმები ლოჟაში ერთად იკრიბებიან, საერთო „მუშაობის“ შემდგომ კი ერთმანეთს საკუთარ აზრებს უცვლიან, საუბრობენ ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე, შეუცნობელის წვდომაზე, მათ საუბრებში თქვენ რელიგიურპოლიტიკურ თემებს, ეთნიკურ დისკირმინაციას ან ვინმეს (რაიმეს) წინააღმდეგ მიმართულ რიტორიკას ვერ მოისმენთ. ეს არის თავისუფალი, თანასწორი, ძმური ურთიერთობები განათლებული და მოტივირებული ადამიანებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბოლო ხანებში, რამდენიმე ინტერვიუ მქონდა, სადაც ვეცადე ამეხსნა ტექნიკური, სტრუქტურული და ადმინისტრირების მექანიზმები, რომლებიც ჩვენს საძმოს გააჩნია. ეს ინტერვიუები შეგიძლიათ წიგნის დანართებში იხილოთ.

მასონები ვართ ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანები, როგორც თქვენ, ძვირფასო მკითხველო, ჩვენი საყოფაცხოვრებო პრობლემებით, აზრებით და მსოფლმხედველობით. ლოჟაში კი ვართ ძმები, თანამოაზრეები და შეიძლება ითქვას, იდეალისტებიც. ყოველი მასონი საკუთარი კულტურის, ერის და ტრადიციების შვილია. შესაბამისად, ქართველი მასონი ლოჟის გარეთ არის ქართველი, ქართულ ადათებზე აღზრდილი, მორწმუნე ადამიანი. მასონური ორდენის წევრი არის თავისი კულტურისა და სახელმწიფოს ერთგული. ჩვენ საერთო სულისკვეთება გვაერთიანებს, ვიმუშაოთ საკუთარ თავზე, რომ გავხდეთ უკეთესები, განათლებულები და მივუახლოვდეთ სინათლეს, გვქონდეს სიყვარული და ურთიერთპატივისცემა.

კიდევ ერთხელ მოწიწებით დავესესხები დიდ ვაჟას და კვლავ მის ციტირებას მოვახდენ - **„კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლი-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა".

რას ხედავთ ამაში ცუდს? ერის და ბერის გაძლიერება სახელმწიფოს გაძლიერებაა, სახელმწიფოს და საზოგადოების გაძლიერება კი მსოფლიოში მშვიდობის, პატივისცემისა და სიყვარულის გაძლიერებაა.

მასონი, საკუთარი პრინციპებიდან გამომდინარე საკუთარი სახელმწიფოს, წყობის და ქვეყნის ხელმძღვანელობის ერთგულია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის ხელისუფლებაში და რა პირადი პოლიტიკური-სახელმწიფოებრივი შეხედულება გააჩნია კონკრეტულ ძმას. სახელმწიფოს უღალატობა და ქვეყნისა და ერის ერთგულება ჩვენი ამოსავალი წერტილია.

ამ გამოცემით მასონურ ორდენზე სრულ წარმოდგენას ვერ შეიქმნით, ამას ინტერესი და წლების განმავლობაში ღირებული ლიტერატურის კითხვა ჭირდება. ჩვენი საზოგადოების ყველა წევრმა ერთი რამ უნდა იცოდეს - მასონი მტერი არ არის, ის საზოგადოების ერთგულია, იცავს სახელმწიფოს ინტერესებსა და ავითარებს საღ აზრს, მოუწოდებს ახალგაზრდებს განათლებისაკენ და მხოლოდ სიყვარულის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთმოსმენის მომხრეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1 ინტერვიუები ქართულ მედიაში

დრონი 23.06.2011

ქართველი მასონები „იატაკქვეშეთიდან“ ამოსვლას გეგმავენ

თავისუფალ კალატოზთა (მასონთა) ქართული ლოჟა 90-წლიანი პაუზის შემდეგ ისევ ამოქმედდა. იმ ქართველმა მასონებმა, რომლებიც უკვე არიან ორდენის წევრები საზღვარგარეთ სხვადასხვა ლოჟაში, საქართველოში შექმნეს მასონური კლუბი, რომელიც იქცა კანდიდატთა შეხვედრისა და გეგმების განხილვის ადგილად. აღსანიშნავია, რომ მასონების მიმართ საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქციის გათვალისწინებით, კლუბის ადგილმდებარეობა, კანდიდატთა სია და შეხვედრების პერიოდულობა, ფაქტობრივად, გასაიდუმლოებულია.

„დრონი.ჯი“-ს ინფორმაციით, უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ქართველი მასონები „იატაკქვეშეთიდან“ ამოსვლას აპირებენ. სწორედ ამ მიზნით სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ დროდადრო ქვეყნდება ცნობები იმის შესახებ, თუ რა ეტაპზეა ამჟამად მასონთა ქართული ლოჟის საქართველოში გადმოტანის გეგმა.

ერთ-ერთი ორდენის წევრი მასონის ინფორმაციის თანახმად, სწორედ თბილისში მოქმედი, მასონური კლუბის საფუძველზე მაისში შეიქმნა გარკვეული უფლებამოსილებით აღჭურვილი დროებითი ქართული ლოჟა, რომელიც ცენტრალური ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში, ჯერჯერობით, მხოლოდ სხვა ლოჟის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურისდიქციის ქვეშ მოქმედებს. ქვეყანა არ სახელდება, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედ ქართულ მასონურ ლოჟას „ოქროს საწმისი“ ჰქვია და მასში გაწევრიანება, შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, ქართველ კანდიდატებს შეუძლიათ.

დაგეგმილია ქართული ლოჟის გადმოტანა თბილისში, რისთვისაც უკვე ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები. ლოჟის თბილისში გადმოტანა 2012 წლის ბოლოს იგეგმება, მანამდე კი თბილისში რამდენიმე ქვეყნის მასონური სამმოს „დიდი ოსტატი“ და დიდი ლოჟის კომიტეტის წარმომადგენლები აპირებენ ჩამოსვლას, რათა კანდიდატები გაიცნონ და საქართველოში არსებული სიტუაცია შეისწავლონ.

2013 წლისთვის ორი დამოუკიდებელი ქართული მასონური ლოჟა შეიქმნება, ხოლო მესამე ლოჟის გახსნის შემდგომ საქართველოში სუვერენული დიდი ლოჟაც გაიხსნება. როგორც „ფეისბუქზე“ შექმნილ „ქართული მასონური ორდენის“ გვერდზე იუწყებიან, „დიდი სტუმრები საქართველოში უახლოეს მომავალში ჩამოვლენ“.

შეგახსნებთ, რომ მასონთა ქართული ლოჟა საქართველოს ტერიტორიაზე ბოლოს 90 წლის წინ მოქმედებდა და მისი ბევრი წევრი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პირი იყო. ქართველ მასონთა ლოჟის წევრები იყვნენ კიტა აბაშიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი - ევგენი გეგეჭკორი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი - ნიკოლოზ ჩხეიძე და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი #2 **ინტერვიუები ქართულ მედიაში**

13.07.2011

droni.ge-ს ექსკლუზიური ინტერვიუ ქართველ მასონთა ლიდერთან

„დრონი.ჯი" გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს იმ პროფილის ავტორთან, რომელიც საკუთარი ვინაობის გამხელისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს და ფსევდონიმის მეშვეობით კონტაქტობს, ამავე დროს, პირად მიმოწერაში აცხადებს, რომ ქართველ მასონთა ლოჟის აღდგენის პროცესშია ჩაბმული. "დრონი.ჯი"-ს მიერ მიერ დასმულ შეკითხვებს და მათზე გაცემულ პასუხებს უცვლელად გთავაზობთ:

- ერთი შეხედვით, შეიძლება დაინტერესებულმა ადამიანმა უამრავი მასალა მოიძიოს მასონებზე, მაგრამ აქედან უმეტესი ნაწილი ან ყალბია, ან გადაჭარბებული, ან კიდევ არაკომპეტენტური. რით არის გამოწვეული მასონების შესახებ არსებული სერიოზული ლიტერატურისა და წყაროების დეფიციტი, ნაწილობრივ - მსოფლიოში, განსაკუთრებით კი საქართველოში?

- საქართველო ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში განსაკუთრებულ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როდესაც მასონურმა საძმომ ნელ-ნელა დაიწყო ჩრდილიდან გამოსვლა და საზოგადოებასთან ურთიერთობა (აშშ, ევროპა, იაპონია და სხვ.) საქართველო და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული საზოგადოება "რკინის ფარდის" იქეთ იმყოფებოდა, რაც სრულიად გამორიცხავდა ინფორმაციის მიღებას.

მასალა, მართლაც, უამრავია: სხვადასხვა ელექტრონულ გვერდზე, სოციალურ ქსელებში, პირად გვერდებზე, სხვადასხვა მიმართულების ორდენების ვებ გვერდებზე, ბლოგებზე. იბეჭდება ლიტერატურა და ვრცელდება უამრავი ვიდეო.

მასონური საძმო არ არის საიდუმლო ორგანიზაცია, მაგრამ ის არის ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია საიდუმლო.

ამით ბევრი ადამიანი ცდილობს გამდიდრებას და საზგადოებისთვის "საიდუმლო ბურუსით მოსილი", რაღაც საკრალური და მისტიური ისტორიების წარმოდგენას, რათა მათი შეთხზული ყვითელი ლიტერატურა სარფიანად გაიყიდოს. არიან ისეთებიც, რომლებიც "მასონურ ორდენზე ჩატარებულ კვლევას" მიიწერენ და ამ "კვლევის" საფუძველზე აღმოჩენილ "მაკომპრომენტირებელ" ინფორმაციაზე დაყრდნობით ცდილობენ გაავრცელონ რელიგიური ისტერია.

ვცდილობთ, მათ ავუხსნათ, რომ მასონური ორდენი შედგება მხოლოდ რეგულარული მასო-ნობისგან და რომ მის გარდა არსებობს კიდევ მრავალი განშტოება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მასონობასთან.

ასეთია, მაგალითად, „ საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთი", მემფის მიცრაიმი, მრავალი ორდენი თუ საიდუმლო საძმო, რომელთა საქმიანობა საზოგადოებში შეიძლება ნეგატიურად შეფასდეს ამა თუ იმ თვალსაზრისით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დიადი აღმოსავლეთი" აქტიურად ერევა პოლიტიკაშიც, რელიგიურ საკითხებშიც და არის უფრო ლიბერალური. მის რიგებში ქალებსაც ნახავთ, ათეისტებსაც და სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტებსაც. უკვე სამი საუკუნეა, ისინი თავს "მასონებად" მოიხსენიებენ და, შესაბამისად, პროფანთა მიერ ზერელედ ჩატარებული "კვლევის" შედეგად გამოქვეყნებული სტატიები, რითაც მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ამ „განშტოებათა" საქმიანობის შეფასება, საზოგადოებას ანტიპათიას უღვივებს რეგულარული მასონური საძმოს მიმართაც.

ვერ დაგეთანხმებით, რომ მსოფლიოში მასონური ლიტერატურის დეფიციტია. ბოლო 30-40 წელი მრავალ ენაზე გამოდის პროფესიონალ, მცოდნე ავტორთა და მეცნიერთა ნაშრომები, მათ შორის ტაძრელებზეც, რეგულარულ მასონობაზე, მის ისტორიაზე და სიმბოლიკაზე.

საქართველოში, ქართულ ენაზე დაწერილ წიგნს ვერ ნახავთ, არის მხოლოდ რუსულიდან თარგმნილი ავანტიურისტული ან ფსევდორელიგიური წიგნები ან იმავე რუსულ ენაზე დაბეჭდილი ლიტერატურა. არის მრავალი ავტორი, მაგალითად, **ა. გიზე**, რომელიც მასონობას არავის ახვევს თავს და მხოლოდ ობიექტურად, ფაქტებზე დაყრდნობით, მრავალი წლის კვლევისა და ანალიზის შედეგად დაწერილ საკუთარ, საღი აზრის მქონე წიგნს სხვადასხვა ენაზე აქვეყნებს და ამით მასონურ გილდიას უფრო მეტ სინათლეს ჰფენს საზოგადოების თვალში.

2011 წლის ბოლოს სამ გამოცემას ვგეგმავთ ქართულად. ერთი სწორედ გიზეს წიგნის თარგმანია გერმანული ენიდან და დანარჩენი ორი ქართველი ძმების დაწერილი წიგნებია. ვფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობ, ეს ორი გამოცემა მეტ ნათელს მოჰფენს საკითხს და მრავალ შეკითხვას გასცემს პასუხს. მუშაობა ამ მიმართულებით არა მხოლოდ გაგრძელდება, არამედ გააქტიურდება კიდეც.

- რა შეგიძლიათ გვითხრათ ქართველ მასონებზე და ზოგადად, ქართველ მასონთა ლოჟაზე?

-საქართველოში პირველი წერილობითი საბუთი მასონური ლოჟის არსებობისა და მასონების აქტივობის შესახებ გვხვდება მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში. თუმცა, ეს ის პერიოდია, როცა საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო და არც დამოუკიდებელი ქართული მასონური იურისდიქცია გაგვაჩნდა. საქართველოში ორი ლოჟა იყო – ქუთაისში და თბილისში. კიდევ ორი ქართული ლოჟა რუსეთში იყო - პეტერბურგში და ერთი მათგანი რუსეთის ფედერალური საბჭოს (პარლამენტის) შენობაშიც კი იკრიბებოდა.

რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მრავალი თბილისელი და ქუთაისელი ძმა საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობის წევრი გახდა. ეს გულწრფელი პატრიოტები და სამშობლოს მოტრფიალე ადამიანები იყვნენ. თუმცა, საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ მათმა უმეტესობამ ემიგრაციაში, საფრანგეთში გადაინაცვლა, სადაც ორი ლოჟა შეიქმნა. პარიზში ერთი ქართული, მეორე კი ჩეჩნურ-ქართული ლოჟა დაფუძნდა.

საქართველოში ისტორიის ძაფი ამ მხრივ 90 წლის წინ გაწყდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი მიზანია, ამ ადამიანებზე მეტი ინფორმაციის მოძიება და შემდგომში წიგნის სახით გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველებმა ამ კუთხითაც უნდა ვიცოდეთ ჩვენი ისტორიული წარსული, რადგან ეს ხალხი საქართველოს ისტორიაში გამორჩეული მარგალიტები იყვნენ. დღეს საქართველოში რამდენიმე ძმა ვმოღვაწეობთ, სხვა ქვეყნების იურისდიქციებში ვართ ინიცირებულები და ვცდილობთ საქართველოში დამოუკიდებელი დიადი ლოჟის შექმნას. ამას კი წინ, სულ მცირე, სამი ლურჯი ლოჟის გახსნა უძღვის.

ამ ეტაპზე ორი სადეპუტაციო (არასრული დამოუკიდებლობით, სხვა ქვეყნის იურისდიქციაში მყოფი და იქ დაარსებული - საქართველოს მოქალაქეობის მქონე ძმებისთვის და კანდიდატებისთვის) ლოჟა არის შექმნილი, ორი სხვადასხვა ქვეყნის მასონური იურისდიქციის ქვეშ. ჩვენ მესამის გახსნასაც ვგეგმავთ 2013 წლის მარტში, რაც, საბოლოოდ, საშუალებას მოგვცემს 2013 წლის სექტემბრისთვის შევქმნათ საქართველოს გაერთიანებული დიადი ლოჟა, როგორც სუვერენული, დამოუკიდებელი სტრუქტურა და იურისდიქცია.

- რატომ არის მასონთა რიტუალები, შეხვედრის ადგილები, ძმების ვინაობა და ა.შ. მკაცრად გასაიდუმლოებული? რატომ არ ზრუნავენ მასონები მათი შეხვედრების ამსახველი კადრების განსაჯაროებაზე – რა საიდუმლო გამჟღავნდება, თუკი ხალხი ვიდეოკადრებს ნახავს?

- ნებისმიერ მასონს შეუძლია (და დასავლეთში ბევრი ამას აკეთებს) მასონურ ორდენში საკუთარი წევრობის შესახებ ხმამაღლა განაცხადოს, მაგრამ მხოლოდ საკუთარი თავის და არა სხვა ძმის შესახებ. შეხვედრის ადგილიც მრავალ ქვეყანაში ცნობილია საზოგადოებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტუალს ანუ "მუშაობას" თავისი დატვირთვა აქვს და პროფანისათვის (ადამიანისთვის, ვინც არ არის მასონური საძმოს წევრი) ის გაუგებარია, რადგან ყოველი ლოჟის შეკრება და მუშაობა არის ადამიანზე მუშაობა, ადამიანის, ინდივიდის განვითარება გარკვეული ალეგორიებისა და ცოდნის გამოყენებით. მასონის ერთ-ერთი მიზანია საკუთარი თავისა და მის გარშემო მყოფ ადამიანთა განვითარება – არა საზოგადოების, როგორც მთლიანის, არამედ თითოეული ინდივიდის, რადგან ინდივიდთა ერთობა ქმნის ჯანსაღ საზოგადოებას.

ჩვენ კარგი ადამიანისგან უკეთესი ადამიანის ჩამოყალიბება გვსურს. ეს არ ეხება მისი პოლიტიკური, რელიგიური და კულტურულ-ეროვნული თვითმყოფადობისა და მრწამსის შეცვლას. აქ საუბარია მხოლოდ მის ინდივიდუალიზმზე, განათლებაზე, ჰუმანისტურ მსოფლმხედველობაზე, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაზე, მათი აზრის პატივისცემაზე, ტოლერანტობაზე და ა.შ.

საქართველოში, სამწუხაროდ, ჩვენი ვინაობა და შეკრების ადგილი გასაიდუმლოებულია. პირდაპირ ვიტყვი – ჩვენი ოჯახების უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მრავლად არიან ისეთი რეაქციული ადამიანები, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება. პირადად მე მათ ნაკლებად გავუწევდი ანგარიშს, მაგრამ ჩვენს უკან ჩვენი ოჯახებია, რომელთა სიმყუდროვის დარღვევა ჩვენთვის დაუშვებელია.

მჯერა, რომ ათ-ოც წელიწადში სიტუაცია შეიცვლება და ქართველი მასონებიც უფრო ღიად იმოქმედებენ. რუსეთში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერბეთსა და რუმინეთში 15 წელი დასჭირდა იმას, რომ დიადი ლოჟის წევრებს საკუთარი ვინაობა გაემხილათ. იქ საზოგადოებას ნაკლებად აინტერესებს ძალადობა, თუნდაც მასონების მიმართ.

მასონებს კარგად ახსოვთ კათოლიკური ეკლესიის მიერ განხორციელებული დევნა, რაც ბოლოს იოანე პავლე მეორის შემწყნარებლობის ბულათი დასრულდა. გვახსოვს ფაშისტური გერმანიის და საბჭოთა სუკ-ის მიერ განხორციელებული დევნა და მილიონობით მასონის განადგურება. გვახსოვს და ვხედავთ რელიგიურ ექსტრემიზმს, თუმცა ბევრ ქვეყანაში საზოგადოებამ უკვე განვლო შეუცნობელის შიშის ეტაპი და ქართული საზოგადოებაც ჩადგება მათ რიგში, ამას გარკვეული დრო, წლები სჭირდება.

-თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს მასონების მიმართ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს. სტუმრებს, რომლებიც თბილისში ჩამოსვლას აპირებენ, თუ ეუბნებით, რომ ისინი იმყოფებიან ქვეყანაში, სადაც "მასონი" სალანძღავი სიტყვაა? რა სიტუაციაა ამ მხრივ სხვა ქვეყნებში?

- ჩვენი კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა სულ სხვა სურათი. გამოკითხულთა (გამოკითხულია 2200 მოქალაქე, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, შესაბამისი სქესობრივი, ასაკობრივი, აღმსარებლობითი და სხვა კრიტერიუმების სრული დაცვით) 38,4% დადებითად უყურებს მასონური საძმოს ჩამოყალიბებას საქართველოში, 19,2% - ნეგატიურად, დაახლოებით 40%-ს კი ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს, მათ სულ სხვა საკითხები აწუხებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთანხმებით, ინფორმაციულმა ვაკუუმმა და სხვა ფაქტორებმა საქართველოს მოსახლეობის ნაწილში მკვეთრი ნეგატიური დამოკიდებულება გამოიწვია მასონების მიმართ. მათგან უმეტესობამ არც იცის, თუ რა არის მასონური ორდენი, თუმცა სმენიათ, რომ ეს არის ანტიქრისტიანული, სატანისტური თუ „ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური" გაერთიანება.

აქვე მინდა დავურთო, რომ რეგულარულ მასონურ ორდენში მიღებისთვის უმთავრესი მოთხოვნაა ღმერთის, შემქმნელის არსებობის რწმენა. მიუხედავად იმისა, თუ რომელი აღმსარებლობის ხართ, ღმერთი ერთია და საერთო. რაც შეეხება სატანისტურ სექტას, ის 1966 წელს შეიქმნა, „დაგვესესხა" გარკვეულ სიმბოლიკას, რომელიც, პრინციპში, მასონურიც არ არის. ჩვენ ამ სიმბოლიკას, უბრალოდ ჩვენებური დატვირთვით ვიყენებთ. სატანისტურ სექტასთან მასონურ ორდენს არანაირი კავშირი არა აქვს.

ჩვენი საქმე არ არის არც რელიგია და არც პოლიტიკა. თითოეულ ჩვენგანს გააჩნია საკუთარი აღმსარებლობა, პოლიტიკური და ეკონომიკური შეხედულებები, ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ხედვა, მაგრამ ამ საკითხებზე არ ვსაუბრობთ ლოჟაში და არც ლოჟის სახელით არ ვახორციელებთ რაიმე ჩვენს საქმიანობას. ჩვენ, როგორც ყველა რეგულარული მასონი, ვართ სახელმწიფოსა და მისი მთავრობის ერთგულები (მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური შეხედულებებისა). დაუშვებელია მასონმა მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შეთქმულებაში ან ღალატში, ეს ჩვენს ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენმა უცხოელმა ძმებმა კარგად იციან ის რეალობა, რაც საქართველოში მასონებთან არის დაკავშირებული. მათ ჩვენი ესმით და ცდილობენ გაგვამხნევონ. ჩვენ გავდივართ იგივე გზას, რაც მათ ერთი საუკუნის წინ გაიარეს და, შესაბამისად, გამოცდილებაც დაუგროვდათ.

"მასონი", როგორც სალანძღავი სიტყვა, ისევე როგორც "ცისფერი" და "კახპა" ჩვენს საზოგადოებაში ალბათ უფრო შურის და ბოღმის აღმნიშვნელია. თუ რომელიმე ქალი არ მოსწონთ, მაშინ ის ნამდვილად „კახპაა" და თუკი ადამიანი, ვინც ვიღაცის რისხვა დაიმსახურა, მამრობითი სქესისაა, მაშინ ის აუცილებლად „ცისფერია". აი, "მასონი" კი უფრო ელიტარული სალანძღავი ტერმინია, რაც თავის თავში ბევრ სიმდიდრესა და თავისუფლებას და ძალაუფლებასა გულისხმობს.

ფაქტია, რომ მასონები მდიდრებიც არიან და ღარიბებიც, ძალაუფლების მქონენიც და ნაკლებად, თუმცა ყველა მასონი ერთგულია საკუთარი სამშობლოს, ქვეყნის, საზოგადოების და გულწრფელად ცდილობს მის განვითარებას, გაძლიერებას და განმტკიცებას.

უმეტეს სხვა ქვეყნებში მასონთა თავშეყრის ადგილი და საქმიანობა ცნობილია. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში საამაყოა მასონური ორდენის წევრობა. აშშ-ში იმდენი განშტოება არსებობს, რომ, როგორც მომიყვნენ, თურმე ბაიკერებისთვისაც არსებობს ლოჟა. ყველა მასონი საკუთარი ქვეყნის და კულტურის ნაწილია. შესაბამისად, ის მოქმედებს როგორც საყოველთაოდ აღიარებული მასონური წესდებით, ასევე საკუთარი კულტურული გარემოს ელემენტების გამოყენებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

-თქვენ შექმენით ფან-ჯგუფი ფეისბუკზე, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. აქვე ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე ამბებზე...

- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების საუკუნეში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საზოგადოებასთან ურთოერთობა ელექტრონული ფორმითაც, სხვადასხვა სოციალური ქსელების, ვებ გვერდების, ბლოგებისა თუ ფორუმების მეშვეობით. საქართველოში ამას დამატებითი ფუნქცია აქვს, სანამ ქართულ ენაზე არ გამოქვეყნდება შესაბამისი ლიტერატურა. ჩვენ ვართ Facebook-ზე,Twitter-ზე, Youtube-ზე, ვიყენებთ Blogger-ს და სხვა ელექტრონულ საშუალებებს.

მიგვაჩნია, რომ ამ საშუალებებით მცირედ, მაგრამ მნიშვნელოვან ინფორმაციას მივაწვდით ყველას, ჩვენს საზოგადოებას, ნეგატიურად თუ პირიქით, პოზიტიურად განწყობილ ადამიანებს. ჩვენი აქტიური მომხმარებელი ფეისბუკის ქართველ მომხმარებელთა 2%-ია, რაც მაღალი მაჩვენებელია. ამასთან, ინტერნეტის მომხმარებელთა დაახლოებით 7%-მა დაათვალიერა ჩვენი გვერდი, დატოვა კომენტარი და მიიღო სასურველი ინფორმაცია. არ მოგეჩვენოთ, რომ ეს დაბალი მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 11-13% იყენებს ინტერნეტს.

-დავუშვათ, არსებობს რიგითი ობივატელი, რომელიც დაინტერესებულია მოხვდეს მასონთა შორის და საკმაოდ კეთილგანწყობილია მათ მიმართ. იმ „მიუწვდომლობის საფარის" გათვალისწინებით, რაც მასონებს და მათ გაერთიანებებს აკრავს გარს, რამდენად შესაძლებელია ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირის მოხვედრამასონთა ლოჟაში? არსებობს რაიმე კრიტერიუმები, რაც მან უნდა დააკმაყოფილოს?

-უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავ, რომ არის აუცილებელი კრიტერიუმები, რომელსაც პროფანი მაძიებელი ანუ კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს. ხაზს გამოვყოფდი რამდენიმე კრიტერიუმს: კანდიდატს უნდა სწამდეს, სჯეროდეს შემქმნელის არსებობის, ათეისტისთვის გზა ორდენში (ისევ და ისევ რეგულარულ მასონურ ორდენზეა საუბარი) დახურულია. იგი უნდა იყოს მინიმუმ 21 წლის (თუმცა სასურველია კანდიდატის ინიცირება 24 წლის ასაკიდან) და, რა თქმა უნდა, მამრობითი სქესის, არ უნდა იყოს ნასამართლები და უნდა ჰქონდეს "კარგი სახელი", ანუ უნდა იყოს რაინდი, ჯენტლმენი საკუთარი ცხოვრებითა და სულისკვეთებით. კანდიდატი არ უნდა იყოს დამძიმებული ვალებითა და ფინანსური პასუხისმგებლობით და მისმა ოჯახმა უნდა იცოდეს მისი ამ გადაწყვეტილების შესახებ.

დღეს რაც შეეხება კანდიდატების მიღებას ჩვენთან, ეს, მეტწილად, პირადი ნაცნობობით ხდება. ნებისმიერ კანდიდატს თავდებად ისედაც მინიმუმ ერთი ძმა უნდა დაუდგეს, შემდგომ სხვა სამი ძმა ხვდება და ესაუბრება და ბოლოს კი მისი მიღების საკითხის განხილვისა და დადებითი შედეგის მიღების შემდეგ უკვე მთლიანად ლოჟა უყრის კენჭს მის კანდიდატურას. გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსით.

-რას ეტყოდით მათ, ვისაც მასონები კაცობრიობის მტრებად მიაჩნიათ და მათზე წინასწარ აკვიატებული წარმოდგენები აქვთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მეტი იკითხონ და მეტი ანალიზი გაუკეთონ ღირებულ და ობიექტურ წყაროებს. მასონი ვერ იქნება კაცობრიობის მტერი, მაშინ მტრების ნუსხაში გვეყოლებოდა ვერდი, მოცარტი, ლეონარდო, კონან დოილი, მარკ ტვენი, ბახი, ლისტი და მრავალი სხვა ხელოვანი, ღირსეული, პატრიოტი, პატიოსანი და გულწრფელი ადამიანი. მასონების ეშინიათ, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს არის საიდუმლო ორგანიზაცია, რომელსაც სურს მსოფლიო ბატონობა და რელიგიური თუ ეთნიკური კუთხით ადამიანების "გარყვნა".

ჩვენ არა ვართ საიდუმლო ორგანიზაცია და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენს საძმოს, უბრალოდ, გააჩნია საიდუმლო, ისევე, როგორც, ალბათ, ყველა ადამიანს, ყველა ოჯახს და ყველა ინსტიტუტს, თუმცა ეს არ არის ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ არსებული ცოდნა და საიდუმლო. ჩვენ არც რელიგიურ ინსტიტუტებს ვებრძვით და, მითუმეტეს, არც რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს, ვინაიდან ჩვენც ამ ჯგუფების წევრები ვართ. ეს არ არის მასონის ინტერესი. ჩვენ გვაინტერესებს თვითგანვითარება, განათლება, დამატებითი ცოდნის მიღება, სვლა სინათლისაკენ, ღმერთთან დაახლოება და ჩვენს გარშემომყოფთა ინტელექტუალური და მორალური გაძლიერება-განვითარება.

-ის სიმბოლოები, რომლებიც მასონებთანაა ასოცირებული, გარკვეულწილად, სხვადასხვა რელიგიურ წყაროებშიც გვხვდება, მათ შორის ქრისტიანული რელიგიის მთავარ წიგნში – ბიბლიაში. რატომ შეიძინეს ამ სიმბოლოებმა, მაგალითად, თვალმა - ასეთი იდუმალი და ხშირ შემთხვევაში, საშიში იერი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ეს სიმბოლიკა ჯერ კიდევ ნეოლითურ ხანაში არსებობდა, ასევე ყველასთვის ცნობილი ხუთქიმიანი ვარსკვლავიც. ეს არ არის მხოლოდ მასონური სიმბოლო, მას ქრისტიანულ რელიგიაში ქრისტეს ჯვარცმის სიმბოლური დატვირთვა აქვს, ისევე როგორც ყოვლისმხედველი თვალი ქრისტიანულ სარწმუნოებაში ღმერთის მზერას აღნიშნავს.

რა თქმა უნდა, არსებობს სპეციფიკური მასონური სიმბოლიკაც, მაგალითად, გონიო და ფარგალი, რასაც ჩვენთან ალეგორიული სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. ასევე, ორი სვეტი, რომელიც სოლომონის ტაძრის შესასვლელს ამშვენებდა, გადატეხილი სვეტი და ა.შ. არცერთ ამ სიმბოლოს, ჩვენი დატვირთვის მიხედვით, კავშირი არა აქვს რელიგიასთან.

სიმბოლიკა ისეთი რამ არის, რაც ადამიანში გარკვეულ ემოციებს იწვევს. სვასტიკა არ იყო ჰიტლერის და ხუთქიმიანი ვარსკვლავიც არ იყო ლენინის, მაგრამ დღეს ეს სიმბოლოები მათ რეჟიმებთან ასოცირდება. მსგავს შემთხვევას წარმოადგენს „დავითის ფარის" სიმბოლო ანუ ექვსქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც დღეს იუდეველთა რელიგიური სიმბოლოა. ეს საკმაოდ ძველი სიმბოლოა, რომელიც ებრაელთა რელიგიის აღმნიშვნელი მხოლოდ მე-19-20 საუკუნეებში გახდა.

14-ე საუკუნიდან ცენტრალურ ევროპაში ამ სიმბოლოთი ებრაულ დასახლებებს აღნიშნავდნენ, თუმცა რელიგიასთან მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა. მას სულ სხვა ეზოთერული მნიშვნელობა და დატვირთვა ჰქონდა და დღესაც ასე გააჩნია მასონებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

-მასონები აცხადებთ, რომ თქვენი მიზანია, შექმნათ უკეთესი მსოფლიო. რათქმა უნდა, მცირე ინტერვიუში ამის ჩატევა წარმოუდგენელია, მაგრამ იქნებ მაინც მოკლედ გვიპასუხოთ, როგორ აპირებთ ამას?

- მასონები ვაცხადებთ, რომ ჩვენი სურვილია კარგი ადამიანისგან შევქმნათ და განვავითაროთ უკეთესი ადამიანი, ჩვენ ინდივიდი გვაინტერესებს, ადამიანი – და არა მსოფლიო ან თუნდაც ადგილობრივი საზოგადოება, როგორც მთლიანობა. მთავარია, ადამიანი იყოს მორალურად მტკიცე, განათლებული, განვითარებული, შეეძლოს აზროვნება და ანალიზი და ასეთ ადამიანთა ერთობა თავისთავად შექმნის უკეთეს საზოგადოებას და, შესაბამისად, სახელმწიფოსა და მსოფლიოს.

-მასონთა რიგებში არ ირიცხებიან ქალები, რა მოსაზრება უდევს საფუძვლად ამ გადაწყვეტილებას და აქვს თუ არა ამას რაიმე საერთო ქრისტიანულ და სხვა რელიგიათა ტრადიციასთან, რომლის მიხედვითაც ქალებს არა აქვთ მღვდელმსახურების უფლება? საერთოდ, რამდენად მართებულად მიგაჩნიათ, როდესაც მასონობას რომელიმე რელიგიას ადარებენ და ამის მიხედვით მსჯელობენ მასზე?

- თქვენს შეკითხვას ბოლოდან ვუპასუხებ. მიმაჩნია, რომ რელიგიისა და მასონური ორდენის შედარება, პარალელების გავლება და იმის მტკიცება, რომ მასონობა ებრძვის რელიგიას არა თუ არასწორი და მცდარია, არამედ ზედმეტად აბსურდულიც. ყველა ძმას საკუთარი რელიგიური აღმსარებლობა და რწმენა გააჩნია, თავისი ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა, ბუდისტური ტაძარი, სადაც ის დადის და ლოცულობს. ლოჟაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსული ძმა მუშაობს საკუთარ ადამიანურ გამოვლინებებზე, ინტელექტზე, მორალურ განვითარებაზე და ეს მუშაობა არ არის დაკავშირებული რელიგიასთან.

რეგულარულ მასონობაში ქალები არ დაიშვებიან, გარკვეულ იურისდიქციებში მათთვის არსებობს ცალკე ლოჟები, თუმცა, ტრადიციულად, ქალბატონი მამაკაცის "ძმა" ვერ გახდება. არის კიდევ სხვა მიზეზებიც, მაგრამ ძირითადი კონცეფცია ეფუძნება სწორედ ძმურ ურთიერთობებს მასონურ ორდენში... ამას არანაირი კავშირი არა აქვს გენდერული თანასწორობის დარღვევასთან ან ქალთმოძულეობასთან. უბრალოდ, არის ურთიერთობები, რომლებიც მხოლოდ მამაკაცთა შორის რეგულირდება...

-თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველო, ქართული საზოგადოება მზად იმისთვის, რომ ქართველ მასონთა ლოჟა იატაკქვეშეთიდან ამოვიდეს, შეკრებაზე განსახილველი ან განხილული საკითხები საჯარო გახადოს?

- რაც შეეხება ქართული საზოგადოებისა და, მასთან ერთად, ჩვენს მზაობას იმისათვის, რომ შედარებით ღიად ვიმუშაოთ საკუთარ თავზე და საზოგადოებას გავაცნოთ რიგი ინფორმაცია, ამისთვის ერთი დეკადა მაინც არის საჭირო. თუმცა ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ სწრაფად ვითარდება, ვნახოთ...

ჩვენს შეკრებაზე განხილული საკითხები საზოგადოებისთვის სრულად ცნობილი მაინც ვერ გახდება. რა საჭიროა? ყველა ორგანიზაციას საკუთარი შიდა დღის წესრიგი და სამოქმედო გეგმა გააჩნია, ასევეა მასონურ ორდენშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს დავამატებდი, რომ ქართულმა საზოგადოებამ მეტი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა უნდა ისწავლოს, მოსმენა და სხვისი აზრის პატივისცემა. ჩვენი სახელმწიფო და ერი არის ერთ-ერთი უძველესი, განათლებული და ღირსეული პლანეტაზე. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა ოკუპაციის ნალექებს მალე ვძლევთ, მივხვდებით, სად არის ჭეშმარიტება, სინათლე და ღირსება და ამ სინათლისკენ გავაგრძელებთ სვლას ისევე ღირსეულად და მრავალფეროვნად, როგორც ჩვენს ერს შეშვენის.

დანართი 3 ინტერვიუები ქართულ მედიაში

პრაიმ ტაიმი 25.07.2011

„პრაიმტაიმს" ექსკლუზიურ ინტერვიუზე დასთანხმდა საქართველოს მასონთა ლიდერი, რომელიც სოციალურ ქსელში სოლომონ ასურელის ფსევდონიმითაა დარეგისტრირებული. როგორც მასონთა ლიდერმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ამ ეტაპზე ვინაობის გამოაშკარავებას არ აპირებს.

– ბატონო სოლომონ (ასე მოგმართავთ, რადგან ეს სახელი გაქვთ რეგისტრირებული ინტერნეტში. – ავტ.), რამ გადაგაწყვეტინათ ამ ჯგუფის შექმნა „ფეისბუქში" და როგორ ფიქრობთ, არის საქართველოში დღეს საზოგადოება მზად იმისთვის, რომ მასონური ორდენი მიიღოს?

– ჯგუფი შეიქმნა მარტივი ტექნიკური მიზეზის გამო, XXI საუკუნეში მნიშვნელოვანია, საზოგადოებასთან ურთიერთო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის ეს ფორმა მაქსიმალური დატვირთვით იყოს გამოყენებული, თან გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ჩვენს სამშობლოში მრავალი ადამიანი კვლავ იჩენს გარკვეულ სერიოზულ აგრესიას ჩვენს მიმართ. ჩვენი ვინაობა ჯერჯერობით ფარულია, ჩვენი ოჯახების სიმშვიდის დასაცავად. შესაბამისად, ელექტრონული ფორმა ყველაზე მისაღები იყო ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში. თუმცა სექტემბრიდან ვგეგმავთ რამდენიმე პუბლიკაციის გამოცემას და ამ კონტექსტშიც დავიწყებთ საზოგადოებასთან ურთიერთობას.

რაც შეეხება იმას, არის თუ არა მზად საზოგადოება, მიიღოს მასონური ორდენი, გიპასუხებთ მარტივად – საზოგადოების (ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, გამოკითხულთა პროპორციული შედეგების გათვალისწინებით) 38% საკმაოდ პოზიტიურად და ინტერესით უყურებს მასონური ორდენის გამოჩენას, 18-19% ნეგატიური მიდგომით გამოირჩევა, ხოლო 40%-ზე მეტს აბსოლუტურად ნეიტრალური განწყობა აქვს. მიმაჩნია, რომ მინიმუმ ათი წელი მაინც დასჭირდება ჩვენს საზოგადოებას იმისთვის, რომ საბოლოოდ შეეგუოს ტოლერანტობას და სხვისი აზრის პატივისცემას. სწორედ ამ პერიოდის შემდგომ მოხდება, ალბათ, ჩვენი მეტნაკლებად ღიად გამოჩენაც.

– თქვენს კედელზე, ასევე ბლოგზე, რომელიც მასონთა ლოჟას ეკუთვნის, აღნიშნულია, რომ უკვე საბოლოოდ მიღებულია გადაწყვეტილება ოფიციალური ლოჟის ინსტალაციის შესახებ ქალაქ თბილისში, მანამდე, ა.წ. ოქტომბრიდან მოყოლებული, მოხდება არსებული ქართველი ძმების აფილიაცია (გადასვლა) კონკრეტულ სადეპუტაციო ლოჟაში ერთ-ერთ დასავლურ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იურისდიქციაში, რომელიც ა.წ. მაისში შეიქმნა აგლ-ის დიადი ოსტატისა და ოფიცრების გადაწყვეტილებით. არიან თუ არა მათ შორის ცნობადი სახელები და რას შეცვლის მათი გადასვლა სადეპუტაციო ლოჟაში?

– „ცნობილი სახეების" სტატუსს ყველა ადამიანი საკუთარი შეხედულებით საზღვრავს. ჩვენი თვითმიზანი არ არის, რომ ლოჟაში მაინცდამაინც „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" ან ბომონდისა თუ სხვა პროფილის განსაკუთრებულად ცნობადი სახეები იყვნენ ჩართული. ჩვენს ორდენში არიან ყველა პროფესიის, პოლიტიკურ-ეკონომიკური შეხედულების, თუ სოციალური კუთვნილების ადამიანები, მათ შორის შეიძლება იყვნენ საზოგადოებისთვის ცნობადი ან ნაკლებად ცნობადი ადამიანებიც. მთავარი ის არის, რომ ა.წ. ოქტომბერ-ნოემბრიდან ქართველებს მიეცემათ საშუალება, მიიღონ ინიცირება და მომავალ წელს უკვე თბილისში გააგრძელონ „მუშაობა".

– თქვენს გვერდზე, ასევე, ვკითხულობთ, რომ 2013 წლის მარტისთვის დაგეგმილია ორი ქართული ლოჟის ინსტალაცია ქალაქ თბილისში და 2013 წლის სექტემბერში დამატებით ერთი ლოჟის ჩართვით (სხვა იურისდიქციიდან) საქართველოს გაერთიანებული დიადი ლოჟის შექმნა. ფიქრობთ, რომ პრობლემები არ შეგექმნებათ? თუ უკვე შესწავლილი გაქვთ გარემო?

– დიახ, ორი ლოჟა შეიქმნება ქ. თბილისში ჩვენი მეგობრების, დასავლელი ძმების, მხარდაჭერით და ჩვენი აქტივობით. ამასთანავე, მესამე ლოჟა ჩვენი ერთ-ერთი მეზობლის ინიციატივით იქმნება, ეს 2013 წელს მოგვცემს შესაძლებლობას საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ლოჟა გაიხსნას. რა პრობლემები უნდა შეიქმნას? დიადი ლოჟა არის მხოლოდ „მაკოორდინირებელი" სტრუქტურა, მასში ოფიცრებად არჩეული არიან სწორედ იმ სამი (მინიმუმ) ლოჟის წარმომადგენლები, რომლებიც ერთიან ხედვას სახავენ მასონური ორდენის მუშაობისთვის.

– ინტერნეტში მასონებზე უამრავი, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა, თქვენ ავრცელებთ ინფორმაციას, რომ ჩვენს ქვეყანაში მასონური ორდენი XVIII-XIX საუკუნიდან არსებობდა. რა ისტორია აქვს უფრო კონკრეტულად ამ ორდენს საქართველოში და ვინ იყვნენ მისი წევრები? ზოგადად რომ გვითხრათ?

– სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღეს მსოფლიოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა, მისი შეხედულებისამებრ ინტერნეტში გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია ნებისმიერ საკითხზე. აქედან გამომდინარე, მასონურ ორდენზე იმდენი ინფორმაციაა, რომ, ალბათ, საძიებო სისტემაში „დაიკარგებით" კიდეც. ჩვენ ჩავატარეთ მცირედი კვლევა, ვინაიდან ორდენის იმდროინდელი ძირითადი არქივები ან სანქტ-პეტერბურგშია ან პარიზში, რომლის შედეგადაც გამოვარკვიეთ რამდენიმე ძმის ისტორია. სახელების დასახელება პრობლემა არ არის, ეს ხალხი დიდი ხნის წინათაა გარდაცვლილი და შესაბამისად, უფლებაც გვაქვს, ვახსენოთ ისინი, როგორც ძმები, თუმცა სანამ კვლევა ბოლომდე არ დასრულდება (რასაც შესაძლოა, რამდენიმე წელი დასჭირდეს), ჩვენ ფაქტების გამოქვეყნებისგან თავს შევიკავებთ. როგორც კი სრული ინფორმაცია გვექნება, ყველა უტყუარი დოკუმენტისა და ფოტომასალის თანდართვით, გამოვცემთ წიგნს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ, მაშინ საქართველოს ძმები და ლოჟები ქ. ქუთაისსა და ქ. თბილისში შედიოდნენ რუსეთის დიადი ლოჟის დაქვემდებარებაში, შესაბამისად, ინფორმაციის მოძიება გართულებულია. ამ მხრივ თვითონ რუსეთშიც მრავალი პრობლემაა, ვინაიდან მათი არქივები სუკ-ის მიერ არის თავის დროზე ჩამორთმეული, ნაწილი შენახულია, ნაწილი კი – განადგურებული.

– საქართველოში სიტყვა „მასონი" რაღაც ცუდთან ასოცირდება, გასაგები მიზეზების გამო, მათ შორის ტრადიციული რელიგიის და ა.შ. ამ კუთხით რას იტყოდით და რა დამოკიდებულებაა დანარჩენ მსოფლიოში თქვენთან მიმართებაში?

– უპირველეს ყოვლისა, ეს „გასაგები მიზეზები" ნამდვილად ნაკლებად გასაგები მიზეზებია. პრობლემა ისაა, რომ საქართველო და ქართული საზოგადოება მინიმუმ ერთი საუკუნე ინფორმაციულ ვაკუუმში იყო, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ კი ქართველ ერს ნაკლებად „ეცალა" იმისთვის, რომ მასონურ ორდენზე მეტი ინფორმაცია მიეღო. ხალხი გადარჩენისთვის და ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად იბრძოდა. ამას თან ერთვის ის გარემოება, რომ ქართულ ენაზე არ არსებობს ღირებული გამოცემა, ეს არის მხოლოდ რუსული „ყვითელი" გამოცემების რეპლიკები ან რელიგიური გამოცემების თარგმანი, რომელიც რიგ შემთხვევაში ორიგინალს არც ემთხვევა.

დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროში საზოგადოებამ კარგად იცის მასონთა თავშეყრის ადგილებიც, მათი უმეტესობის ვინაობაც და მათი საქმიანობის რიგი ასპექტებიც. ამით თუ ვინმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღიზიანდება“, ეს მათი უფლებაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მასონებზე თავდასხმები არ ხორციელდება და მათ შესაძლებლობა აქვთ, ღირსეულად განვითარდნენ, რაც, თავის მხრივ, მასონურ ორდენს მეტ სურვილს უჩენს საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობის.

– სხვათა შორის, არაერთხელ მსმენია, რომ ერთდოლარიან კუპიურაზე გამოსახული თვალი მასონური სიმბოლოა, ამიტომ მას ადამიანების დიდი ნაწილი ერიდება. საიდან წამოვიდა მასონური სიმბოლიკა და რატომ ემთხვევა ბევრი მათგანი ქრისტიანულ რელიგიურ სიმბოლოებს?

– ერთდოლარიანზე გამოსახული სიმბოლო არ არის „მხოლოდ“ მასონური სიმბოლო. აშშ-ის სპეციალური კომისია, რომელმაც მათი ეროვნული ვალუტა – დოლარი დაამტკიცა, არ იყო დაკომპლექტებული მასონი ძმებით (მხოლოდ სამი მათგანი იყო მასონი) და ეს გადაწყვეტილება მასონურ სიმბოლიკასთან კავშირში არ არის. ეს სიმბოლო ასახავს დაუსრულებელ გზას და პირამიდის იმ მონაკვეთში, სადაც არის „წყვეტა“, ყველა ადამიანი თავისი შეხედულებიდან გამომდინარე ხედავს გარკვეულ სიმბოლურ ალეგორიას. ყოვლისმხედველი თვალი კი ნამდვილად არ არის „მხოლოდ“ მასონური სიმბოლო, მას ეგვიპტეშიც იყენებდნენ და ქრისტიანულ რელიგიაშიც იყენებენ.

არის მრავალი სიმბოლო, რომელიც არც ერთ კონკრეტულ ორგანიზაციას, რელიგიურ ინსტიტუტს ან საძმოს არ ეკუთვნის, მათი უმეტესობა ნეოლითური ხანიდანაა გავრცელებული. თუმცა, არის რამდენიმე კონკრეტული სიმბოლო, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ მასონურ ორდენში გვხვდება. ასეთებია ფარგალი და გონიო, სოლომონის ტაძრის ორი სვეტი, ლამპარი და ა.შ. მათ ჩვენში გარკვეული სიმბოლური და ალეგორიული დატვირთვა აქვს.

ქრისტიანულ რელიგიაშიც არის ხუთქიმიანი ვარსკვლავი, თევზი, ყოვლისმხედველი თვალი, იუდაიზმში – ე.წ. „დავითის ფარი" და ა.შ. არც ერთი ეს სიმბოლო არ არის „შექმნილი" ამ რელიგიური მიმდინარეობების მიერ.

– რა არის თქვენი მიზანი და როგორ უნდა მოხვდეს თქვენს წრეში ადამიანი, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მან?

– როდესაც შეკითხვა კონკრეტულ მიზნებს ეხება, ყოველთვის მეღიმება. მასონური საძმო არ არის რაიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ან პარტია ან რელიგიური ინსტიტუცია, ჩვენი მიზნები ზოგადია, მეტი განათლება, მეტი განვითარება, მეტი მორალური და რაინდული თვისების განვითარება, მუშაობა საკუთარ თავზე, ჩვენს გარშემო მყოფ ადამიანებზე, კარგისგან უკეთესის შექმნა. ლოჟაში ჩვენ „ვმუშაობთ", ანუ საკუთარ თავს ვავითარებთ, ყველა ძმა მასონურ ორდენსა და მიზნებს საკუთარ თავში ეძებს და შემდგომ უზიარებს ძმებს.

– რატომაა ეს ყველაფერი ასეთი საიდუმლოთი მოცული?

– ჩვენ არ ვართ საიდუმლო ორგანიზაცია, ჩვენ ვართ საიდუმლოს მქონე ორგანიზაცია. როგორც ყველა სხვა ორგანიზაციას აქვს საკუთარი „შიდა სამზარეულო", ასევე გვაქვს ჩვენც. მთავარი ის არის, რომ ჩვენი „საიდუმლო" არავის მიმართ არ არის ნეგატიურად მიმართული, აბსურდია იმაზე საუბარი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრიც, რომ ჩვენ მსოფლიო ბატონობისთვის ვიბრძვით ან რელიგიის წინააღმდეგ ვილაშქრებთ. ყველას საკუთარი განვითარების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, ლოჟის გარეთ ყველა ძმას საკუთარი რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა ტიპის მრწამსი და შეხედულება აქვს, ლოჟაში ამ საკითხებზე ჩვენ არ ვმსჯელობთ, აქ ყველა თანასწორია, თავისუფალი და გახსნილი.

– და მაინც, ფიქრობთ, რომ თქვენს ორგანიზაციას საქართველოში განვითარება ექნება?

– ჩვენს საძმოს საქართველოში განვითარება უკვე აქვს. შესაბამისად, რამდენიმე წლის შემდგომ მოვა დრო იმისა, რომ საზოგადოებამ უფრო მეტი გაიგოს ჩვენს შესახებ. ვგულისხმობ, პიროვნებებს. თითოეულ ძმას საკუთარი თავის „გაცხადება" ნებისმიერ დროსა და ადგილზე შეუძლია, მაგრამ არა მისი ძმების, თუ ძმა არ არის დიდი ხნის გარდაცვლილი.

მასონური ორდენი არ წარმოადგენს საფრთხეს არც საზოგადოებისთვის და არც რომელიმე რელიგიური ინსტიტუტისთვის. რაც შეეხება სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ პირიქით, მასონი ყველაზე ერთგული მოქალაქეა, იცავს სახელმწიფოებრივ ინტერესებს და ძმას არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ქმედებაში, რომელიც სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდაა მიმართული.

ქართული საზოგადოება ბრძენია, გავა წლები, მეტი განათლებითა და ცოდნით ის შეძლებს უფრო ზუსტი ანალიზი გაუკეთოს მიღებულ ინფორმაციას და ლოგიკურად მიხვდება, რომ მასონები მხოლოდ სახელმწიფოსა და ადამიანის გაძლიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისთვის არიან მოტივირებულნი და ჩვენგან რაიმე „საფრთხე", მიმართული ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ, გამორიცხულია.

მასონი არის თავისუფალი ინდივიდი, განათლების სურვილითა და თანასწორობის იდეით ანთებული, ჩვენ გაუთლელი ქვები ვართ ყველანი და ვცდილობთ, დახვეწილი ფორმა მივცეთ ჩვენს შინაგან სამყაროსა და ყოველდღიურ ცხოვრებას.

დანართი 4 ინტერვიუები ქართულ მედიაში

24.01.2012

ქართველმა მასონებმა „წიწილები დაითვალეს" და დაასკვნეს, რომ მათი რიცხვი იზრდება

როგორც თავად ამბობენ და წერენ, მასონისთვის დრო ყველაზე დიდი მეგობარი და, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი ფასეულობაა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ უკვე ორი წელია, რაც საქართველოში მასონთა (თავისუფალ, ძველ და აღიარებულ ქვისმთლელთა) ჯგუფი მოქმედებს, რომელიც მიზნად ისახავს თბილისში (შემდგომ, ალბათ, სხვა ქალაქებშიც) მასონური ლოჟების გახსნასა და მათი მეშვეობით ქართული დიდი ლოჟის აღორძინებას.

ქართული მასონური ჯგუფის პირველი შეხება საზოგადოებასთან სოციალური ქსელების - „ფეისბუქისა" (ჯგუფის სახელწოდებაა: ქართული მასონური ორდენი - მასონები საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოში) და ტვიტერის (**twitter.com/GeoMasons**) მეშვეობით მოხდა, გაიხსნა აგრეთვე ოფიციალური ბლოგი (**geomasons.blogspot.com**) და, რაც მთავარია, შესაძლებელია აქტიური ონლაინ კომუნიკაცია ქართული მასონური ჯგუფის ლიდერთან სოლომონ ასურელთან.

ფაქტია, რომ ორი წლის წინ ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი საკმაოდ მწვავედ შეხვდა მასონთა თუნდაც ონლაინ რეჟიმში გამოჩენას, სხვები - შედარებით ინერტულად და არც თუ ისე მცირე კონტიგენტი კი საკმაოდ პოზიტიურადაც. გასული წლის განმავლობაში რამდენიმე ინტერვიუ გამოქვეყნდა ბეჭდვით და ინტერნეტის მედია საშუალებებში. ჟურნალისტებს, ძირითადად, აინტერესებდათ, თუ ვინ არის ამ წრეში და რატომ, ასევე სხვადასხვა გავრცელებული ჭორები ან რაიმე სენსაციური განცხადებები. დღეს საშუალება მოგვეცა კიდევ ერთხელ გავსაუბრებოდით **სოლომონ ასურელს**, გვაინტერესებდა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგები და ახლო მომავლის გეგმები.

–სოლომონ, თქვენდამი შეურიგებელი საზოგადოების ნაწილი კვლავაც გამოხატავს საკუთარ უკმაყოფილებას თქვენი და ჯგუფის წევრების აქტივობის გამო, თუ ამ მხრივ რაიმე შეიცვალა?

–იცით, ამ ხალხს ან უკვე მობეზრდა ნეგატიური ემოციებით თავის გადატვირთვა, ანდა მათი ნაწილი მეტნაკლებად გაეცნო ჩვენს შეხედულებებსა და სტატიებს იმ თემებზე, რომლებიც მათ ასე ძალიან „ადარდებდათ“. რა თქმა უნდა, მაინც დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეურიგებელი უმცირესობა, რომელსაც, უბრალოდ, არაფრის მოსმენა, წაკითხვა და გაგება არ სურს, მათ ვიღაცამ ჩაუნერგა ან თვითონვე ჩაინერგეს რაღაც ფორმულა და დამთავრდა. განათლებული და აზრიანი ადამიანი იმას მაინც მიხვდება, რომ, ჯერ ერთი, მასონური ორდენი არ არის რელიგიური გაერთიანება და მეორეც - ის არცერთ რელიგიას არ ეწინააღმდეგება, არ ცდილობს მათ ჩანაცვლებას და არც ანტიქრისტიანულ ძალას არ წარმოადგენს. მოგიყვანთ იმ პროგრესის მაგალითს, რაც აშკარად შეიმჩნევა: რამდენიმე ისეთი კანდიდატი გვყავს, რომელიც აქტიური მრევლის ნაწილია, წირვასაც ესწრებიან და მორწმუნე ქრისტიანები არიან, ასევე, ზოგი იუდეველი ან მუსულმანია. მათ ესმით, რომ ჩვენ არ ვერევით მათს რელიგიურ მსოფლხედველობაში და არ შეურაცხვყოფთ მათს რწმენას, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ორდენისთვის მნიშვნელოვანია ყოველი მისი წევრის ინდივიდუალური აღმსარებლობა, მისი რწმენა უმაღლესი არსების, შემოქმედის მიმართ, რომელმაც შექმნა კოსმოსი, სამყარო, როგორიც ის არის, თითოეული ჩვენთაგანი. ერთი ბუდისტიც გვყავს, სხვათა შორის. ისიც ფაქტია, რომ ჩვენი კანდიდატები აღარ ერიდებიან და აღარ უმალავენ ოჯახის წევრებსა და ახლო მეგობრებს ჩვენს ორდენში გაწევრიანების სურვილს. ამით ისინი არამარტო იმ გარემოებას უსვამენ ხაზს, რომ მათ დასამალი არაფერი აქვთ, არამედ მაქსიმალურად ცდილობენ აუხსნან მათთვის საყვარელ ადამიანებს, თუ რა არის მასონობა და რომ ორდენს არაფერი აქვს საერთო მოარულ ჭორებთან. მოკლედ, სიტყვა „მასონი", სავარაუდოდ, კვლავ რჩება სალანძღავ სიტყვად, მაგრამ მას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეთ კონტექსტში სულ უფრო ნაკლები ჩვენი თანამოქალაქე იყენებს. ეს კი უკვე პოზიტიური შედეგია.

–სოლომონ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შარშან მხოლოდ რამდენიმე ორდენის წევრი, როგორც თქვენ მათ უწოდებთ, ძმა იყო საქართველოში და კანდიდატიც არც თუ ისე ბევრი გყავდათ, რა სიტუაციაა ამ მხრივ დღეს?

–დღეს ძმების რაოდენობა გაცილებით მეტია, ეს იმითაც არის განპირობებული, რომ ბევრი ძმა, რომელიც აქამდე ჩრდილში იმყოფებოდა და წარმოდგენა არ ჰქონდა აქ მიმდინარე აქტივობის შესახებ, შემოგვიერთდა და ჩვენი რიგები გააძლიერა. კანდიდატების რაოდენობამაც იმატა, ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ თითოეული მათგანი მზად არის ორდენის წევრობისათვის, ან როდესმე იქნება მზად. უბრალოდ, კომუნიკაციისა და ურთიერთობის ბალანსის მექანიზმები დაიხვეწა. დღეს ჩვენ ორმოცზე მეტი დაინტერესებული ასპირანტი გვყავს, სწორედ ახლახანს, იანვარში მიმდინარეობდა მათთან დამატებითი გასაუბრებები. მიმაჩნია, რომ მათი ნაწილი მზად არის შემდეგი ნაბიჯის გადასადგმელად. ამ ასპირანტების ნაწილი ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ დიდი პოტენციალი გააჩნია, გარკვეული ნაწილი კი ჯერ ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის. მთვარია, რომ მასონური კლუბი ნამდვილად გაძლიერდა.

–მასონური კლუბი? ეს რაღაც ახალია. ლოჟა გაგვიგია, მაგრამ მასონური კლუბი რა არის?

–ვინაიდან ჩვენ, ძმები სხვადასხვა ლოჟებს მივეკუთვნებით და სამომავლოდ საქართველოში ლოჟის გახსნას ვაპირებთ, ერთია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი კოორდინირებული მოქმედებისთვის მასონური კლუბი გვჭირდებოდა. ამ კლუბში ვართ როგორც ძმები - ორდენის წევრები, ასევე კანდიდატები; როგორც ნამდვილი წევრები, ასევე დამკვირვებლები. კლუბის შეხვედრა იმართება კვირაში ერთხელ, ვსაუბრობთ სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, ვიღრმავებთ ცოდნას და ვამყარებთ მჭიდრო ურთიერთობებს. კლუბი მომავალში ერთგული და ღირსეული ორდენის წევრების, ჩვენი ძმების სამჭედლოა. აქ კანდიდატს საშუალება აქვს გაიგოს და შეიმეცნოს უფრო მეტი, ვიდრე ის ამას დამოუკიდებლად, კლუბის მიღმა მოახერხებდა. ძმებს საშუალება აქვთ უფრო აქტიურად დააკვირდნენ კანდიდატებს და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება მათი სამომავლო ინიცირების საკითხთან დაკავშირებით. მოკლედ, საკმაოდ აქტიური პროცესია. კლუბი ასევე საუკეთესო საშუალებაა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისათვის.

–თქვენ აღნიშნეთ, რომ ძმები, თქვენი ორდენის წევრები სხვადასხვა ლოჟებს მიეკუთვნებიან. რომელია ეს ქვეყნები?

–სხვადასხვა საპატივცემულო დიდ ლოჟებს მივეკუთვნებით, მათ შორის სომხეთის, ამერიკულ-კანადურ, მისურის, ნიუ იორკის, ავსტრიისა და სხვას. სულ მალე ჩვენი ქართველი ძმები შემოგვიერთდებიან უკრაინიდან, რუმინეთიდან, ა.შ.

–რა იქნება შემდეგი ნაბიჯი?

–როგორც წინა ინტერვიუში მოგახსენეთ, საუბარია 2-3 ლოჟის გახსნაზე საქართველოში 2012-2013 წწ. განმავლობაში. ეს, თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ, 2014 წლისთვის საქართველოს დიდი ლოჟის გახსნის საშუალებას მისცემს. ამ ეტაპზე, ორი ლოჟის გახსნის საკთხი უკვე გადაწყვეტილია, ერთი სომხეთის, ხოლო მეორე ავსტრიის დიდი ლოჟების ჩრდილქვეშ იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ წლის ბოლოს კიდევ ერთი ლოჟა გაიხსნება შვეიცარიის დიადი ლოჟის დახმარებით. არ გამოვრიცხავთ 2013 წელს თბილისში გერმანულენოვანი და ინგლისურენოვანი კიდევ ორი ლოჟის გახსნას. ყველა ეს ლოჟები ხელს შეუწყობს საქართველოს დიდი ლოჟისა და შესაბამისი სუვერენული იურისდიქციის ჩამოყალიბებას. ჩვენი კლუბი უკვე რამდენიმე იურისდიქციაში აღიარებულია, როგორც რეგულარული მასონური გაერთიანება, სადაც შედიან პროფანებიც. ამ იურისდიქციებიდან ჩვენ მორალურ და ფიზიკურ მხარდაჭერას ვგრძნობთ და მადლიერნი ვართ მათი.

–რომელ ქვეყნებზე - იურისდიქციებზე საუბრობთ, თუ საიდუმლო არ არის?

–არა, საიდუმლო არ არის. ჩვენ აქტიურად გვიჭერს მხარს ავსტრიის დიდი ლოჟა, ასევე ხორვატიის, სლოვენიის, ჩეხეთის, უკრაინის, სლოვაკეთის, შვეიცარიის, რუმინეთის, მოლდოვას, ბულგარეთის, აზერბაიჯანის, სომხეთს, ამერიკულ-კანადური, ბოსნია-ჰერცოგოვინას, გერმანიის (გაერთიანებული), თურქეთის და სხვა დიდი ლოჟები.

–თქვენ ხშირად ახსენებთ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპულ სახელმწიფოებს, ავსტრიასა და შვეიცარიას, ჩვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშუალო მეზობლებს, შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებს, მაგრამ თქვენგან არ მსმენია არაფერი ისეთ დიდ და მნიშვნელოვან იურისდიქციებზე, როგორცაა, მაგალითად,რუსეთი, საფრანგეთი და, რა თქმა უნდა, დიდი ბრიტანეთი... ისინი არ გაღიარებენ?

–რაც შეეხება რუსეთს - რუსეთის დიდ ლოჟასთან კონტაქტი საკმაოდ მწირეა, ეს, ალბათ, დროებითი ფაქტორია. მიმაჩნია, რომ ეს კონტაქტი წლის განმავლობაში გაღრმავდება, თუმცა ამ ეტაპზე გარკვეული კითხვის ნიშნები დგას რიგ საკითხებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი ისეთი არაფერი, უბრალოდ, ყველა მასონი მაინც საკუთარი საზოგადოების შვილია. ინგლისის გაერთიანებულ დიდ ლოჟას რაც ეხება, მათთან ურთიერთობა ოფიციალური არ არის, ეს ურთიერთობა ვერც იქნება ოფიციალური, თუმცა ინდივიდუალური კონტაქტები არსებობს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ურთიერთობები მყარ საფუძველს შექმნის შემდგომი აღიარებისათვის. საფრანგეთში კი რთული ვითარებაა. იქ ისედაც ყოველთვის ჭიდილი იყო რეგულარულ და არარეგულარულ (თვითმარქვია) მასონებს შორის. ბოლო დროს რეგულარულმა მასონურმა საძმომ შეაჩერა საფრანგეთის ნაციონალური რეგულარული დიდი ლოჟის აღიარება. ამ ეტაპზე, რეგულარული მასონური საძმოს უმტიკცეს სვეტებს წარმოადგენენ დიდი ბრიტანეთის, ავსტრიის, შვეიცარიის (ალპინა) და ბელგიის დიდი ლოჟები.

–იქნებ აგვიხსნათ, რა განსხვავებაა რეგულარულ და არარეგულარულ მასონურ ორდენებს შორის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

–ზოგადად, ეს ტერმინი არ მიყვარს. ამ ტერმინის დანერგვა სინამდვილეში იმისთვის გვიხდება, რომ საზოგადოებამ შეძლოს დიფერენციაცია ნამდვილ და თვითმარქვია მასონებს შორის. ეს დღეს არ დაწყებულა, მასონური ორდენის ისტორიის მანძილზე ყოველთვის არსებობდნენ თვითმარქვიები. გარდა ზოგადი უსაფრთხოებისა, სწორედ ამიტომაც დაინერგა თავის დროზე გარკვეული სიმბოლოები და მისალმებები, რათა რეგულარულ მასონებს ერთმანეთი მარტივად ამოეცნოდ. სწორედ არარეგულარული მასონური ორდენები მძლავრობდნენ რუსეთის იმპერიაში მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, სწორედ დიდი აღმოსავლეთის მიერ იყო რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუცია პროვოცირებული, რასაც შემდგომ ოქტომბრის რევოლუცია მოჰყვა.

დღეს ყველა იურისდიქციაში მიმდინარეობს უხილავი „ფრონტი“ ნამდვილ და ფსევდო მასონებს შორის. მთავარი განსხვავებებია ის, რომ არარეგულარები ათეისტებიც არიან, მათს რიგებში, ერთი ლოჟის შემადგენლობაში, მამაკაცებთან ერთად ქალბატონებსაც იხილავთ, წმინდა წიგნის ნაცვლად კი ტექსტის გარეშე, ცარიელი, განყენებული სულიერებით შედგენილი წიგნია პატივში. არარეგულარები უხეშად ერევიან როგორც პოლიტიკაში, ასევე რელიგიურ საკითხებში. ეს მხოლოდ მთავარი ზედაპირული სხვაობებია, სხვა ბევრი მნიშვნელოვანი და ღრმა სხვაობაც არსებობს. ჩვენთვის, როგორც რეგულარული მასონური ორდენის წარმომადგენლებისთვის, უმთავრესია ღმერთის, სამყაროს დიდი არქიტექტორის რწმენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ლოჟებში ვერ იხილავთ ქალბატონებს (რიგ იურისდიქციებში არის ქალების ლოჟები, მაგრამ განცალკევებით ჩამოყალიბებული, სხვა იურისდიქციებში კი კლუბებისა და საზოგადოებების ფორმით). ჩვენ არ ვერევით არც პოლიტიკაში და არც რელიგიაში, ვდგავართ სახელმწიფოსა და, ზოგადად, ხელისუფლების სიმყარის სადარაჯოზე. მასონური ორდენის წევრობა ხომ პრინციპები და ფასეულობებია. თუ ეს ფასეულობები დაკარგულია, მაშინ არ არსებობს არც ლოჟა და არც მასონი.

–თქვენ არაერთხელ ახსენეთ, რომ საქართველოში არ მოიპოვება სათანადო ლიტერატურა მასონებზე, მითუმეტეს ქართულ ენაზე, ასევე ახსენებდით რამდენიმე გამოცემას, რომელსაც გეგმავდით. რა ხდება ამ კუთხით?

–ჩვენს ვამზადებთ ორტომეულს სათაურით "მასონები - საიდუმლო ორდენი თუ საძმო რომელსაც საიდუმლო გააჩნია?". პირველი ტომი უკვე მზად არის და მასში მეორე ნაწილიც არის, ასეთი სათაურით: "ჩემი გზა - ჩემი არჩევანია", რადგან პირველ ტომში მასონური რიტუალების, ისტორიისა და სიმბოლოების განმარტებების პარალელურად ქართველი მამაკაცის გზაც არის აღწერილი, თუ რატომ და როგორ გახდა იგი მასონი. მეორე ტომი მასონობის ისტორიის გაგრძელება იქნება, მაგრამ მეტი აქცენტი გაკეთდება რიტუალებზე და მასონურ ფილოსოფიაზე. ასევე მზადდება რამდენიმე მცირე გამოცემა, მათ შორის ტაძრელებზე, ილუმინატებზე, პასუხები ხშირად დასმულ შეკითხვებზე და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

–საუბრის ბოლოს მაინც მინდა გკითხოთ, თქვენ ფიქრობთ, რომ მასონური ორდენი საქართველოში განვითარდება?

–ჩვენს საძმოს საქართველოში განვითარება უკვე აქვს. დრო ჩვენი მეგობარია და ჩვენ ის დაგვჭირდება, რათა საზოგადოებას, თუ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, განვუმარტოთ, რომ მასონური ორდენი არ წარმოადგენს საფრთხეს არც სახელმწიფოსთვის და არც რომელიმე რელიგიური ინსტიტუტისთვის. რაც ეხება სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ, პირიქით, მასონი ყველაზე ერთგული მოქალაქეა, იცავს სახელმწიფოებრივ ინტერესებს და ძმას არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ქმედებაში, რაც სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ არის მიმართული.

ჩვენი მთავარი მიზანია შემოვიტანოთ სინათლე, განათლება, ცოდნა, განვავითაროთ ადამიანის ინტელექტი და მისი შინაგანი სამყარო. გაივლის წლები და ჩვენი საზოგადოება მეტი განათლებისა და ცოდნის წყალობით შეძლებს უფრო ზუსტი ანალიზი გაუკეთოს მიღებულ ინფორმაციას და, შესაბამისად მიხვდება, რომ მასონები მხოლოდ სახელმწიფოსა და ადამიანის გაძლიერებისთვის არიან მოწოდებულნი.

მასონი არის თავისუფალი ინდივიდი, განათლების სურვილით და თანასწორობის იდეით ანთებული, ჩვენ ყველანი დაუმუშავებელი ქვები ვართ და ვცდილობთ დახვეწილი ფორმა მივცეთ ჩვენს შინაგან სამყაროსა და ყოველდღიურ ცხოვრებას...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიზუალური დანათი







მასონები - საიდუმლო საძმო თუ საძმო საიდუმლოებით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხავი ლიტერატურა

1. The Freemasons: A History of the World's Most Powerful Secret Society – **Jasper Ridley** (Arcade Publishing)
2. The Golden Builders: Alchemists, Rosicrucians, and the First Freemasons – **Tobias Churton** (Inner Traditions)
3. Gnostic Philosophy: From Ancient Persia to Modern Times - **Tobias Churton** (Inner Traditions)
4. Freemasonry and the Birth of Modern Science – **Robert Lomas** (Fair Winds Press)
5. The Occult Philosophy in the Elizabethan Age – Frances **A. Yates** (Routledge)
6. The Great Instauration: The Universal and General Reformation of the Whole Wide World Through the Arts and Sciences – **Peter Dawkins** (Francis Bacon Research Trust)
7. The Origins of Freemasonry : Fact and Fiction – **Margaret C. Jacobs** (University of Pennsylvania Press)
8. Freemasonry – Rituals, Symbols and History of Secret Society - **Mark Stavish** (Llewelyn Publications)
9. The Rosicrucian Englightenment – **Frances a Yates** (Routledge)
10. The Genesis of Freemasonry – **Douglas Knoop and Hon. Ariba and G.P. Jones** (Manchester Univeristy Press)
11. The Radical Enlighnement : Pantheists, Freemasons and Republicans – **Margaret C. Jacob** (The Temple Publishers)
12. Living the Enlightenment : Freemasonry and Politics in Eighteenth – Century Europe – **Margaret C. Jacob** (Oxford Univeristy Press)

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. The Origins of Freemasonry, Scotland's Century, 1590-1710 – **David Stevenson** (Cambridge University Press)
14. The Rise and Development of Organized Freemasonry – **Roy A. Wells** (Lewis Masonic / The Masonic Book Club, vol 17)
15. Turning the Hiram Key: Rituals of Freemasonry Revealed – **Robert Lomas** (Fair Winds Press)
16. The Temple and the Lodge – **Michael Baigent and Richard Leigh** (Arcade Publishing)
17. The History of Magic and the Occult – **Kurt Seligmann** (Gramercy Books)
18. The Masques of Solomon: The Origins of the Third Degree – **C.Bruce Hunter** (Macoy Publishing and Masonic Supply Company)
19. Masonic Legends and Traditions – **Dudley Wright** (Rider and Company)
20. Symbolism in Craft Masonry – **Colin F.W. Dyer**
21. The Symbols and Legends of Freemasonry – **J. Finlay Finlayson** (George Kenning)
22. Masonic Ritual : A Commentary of the Freemasonry Ritual – **Dr. E. H. Cartwright** (Lewis Masonic)
23. Behind the Crystal Ball: Magic, Science and the Occult from Antiquity through the New Age – **Anthony Aveni** (University Press of Colorado)
24. Giordano Bruno and the Hermetic Tradiotn – **Frances A Yates** (University of Chicago Press)

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. The Magus of Freemasonry: The Mysterious life of Elias Ashmole – Scientist, Alchemist, and founder of the Royal Society – **Tobias Churton** (Inner Traditions)
26. Restoring the Temple of Vision: Cabalistic Freemasonry and Stuart Culture – **Marsha Keith Schuchard** (Brill)
27. Sacred Geometry: Philosophy and Practice – **Robert Lawlor** (Thames and Hudson)
28. **Fulcanelli**: Master Alchemist; Le Mystere des Cathedrales
29. Temple of CosmosL The Ancient Egyptian Experience of the Sacted – **Jeremy Naydler** (Inner Traditions)
30. Access of the Western Esotericism – **Antoine Faivre** (State University of New York)
31. The Way of the Craftsman: A Search for the Spiritual Essence of Craft Freemasonry – **W. Kirk Macnulty** (Central Regalia Limited)
32. Morals and Dogma of the Ancient and Accepted Scottish Rite of Freemasonry- **Albert Pike**
33. Symbolism of the Bllue Degrees of Freemasonry: Albert Pike's Esoterika – **Atruro De Hoyos** (The Scottish Rite Research Society)
34. The Secret Tradtion in Freemasonry- **Arthur Edward Waite** (Rider and Company)
35. **Saint-Martin**: Theosophic Correspondence (1792-1797) - ნათარგმნი Theosophical University Press
36. Secret Societies: Illuminati, Freemasons and the French Revolution - **Una Birch** (Inner Traditions)
37. Caliostro – **W.R.H. Trowbridge** (University Books)
38. The Brotherhood of the Rosy Cross – **A.E. Waite** (University Books)

ეროვნული ბიბლიოთეკა

39. The Knight Templar and Their Myth –**Peter Partner** (Destiny Books)
40. Gnostic Philosophy: From Ancient Persia to Modern Times – **Tobias Churton** (Inner Traditions)
41. Eliphas Levi and the French Occult Revival – **Christopher McIntosh** (Weiser)
42. The Occult – **Colin Wilson** (Watkins Publishing)
43. From Pagan Sanctuary to Christian Church: the excavation of Maere Church- **K. Liden** (Trondelag Norwegian Achelogical Review)
44. The Origins of Freemasonry –**D. Stevenson** (Cambridge University Press)
45. The Knights Templar – **Paul Ivison** (Lewis Masonic)
46. Noble Born – **Stephen Dafoe** (Lewis Masonic)
47. Workman Unashamed – **Christopher Haffner** (Lewis Masonic)
48. The Power of Symbols – **F.W. Dillistone** (SCM Press)
49. Freemasonry and the Christian Faith – **Harri Heino** (Tampere)
50. Christian Theology – An Itroduction – **Alister E. McGrath** (Blackwell)
51. Apologetics and Catholic Doctrine – **The Most Revd M Sheehan** (Gill)
52. *Бейджент М., Ли Р. Эликсир и камень. Традиции магии и алхимии.* ***М.: Эксмо****, 2003.*
53. Бейджент М., Ли Р. Храм и ложа. От тамплиеров до масонов. **М.: Эксмо**, 2003. .
54. Брачев В. Масоны и власть в России. **М.: Эксмо,** 2003.

ეროვნული ბიბლიოთეკა

55. **Карпачев С.П.** Путеводитель по масонским тайнам. М.: Центр гуманитарного образования,
56. **Карпачев С.П**. Тайны масонских орденов: Ритуалы "вольных каменщиков". М.: Яуза-пресс, 2007.
57. **Киселев Н.П.** Из истории русского розенкрейцерства. СПб., 2005.
58. **Курбатов В.И.** Тайное общество масонов. М.: Эксмо, 2007.
59. Масоны и Февральская революция 1917 года. М.: Яуза-пресс, 2007.
60. **Найт К., Ломас Р**. Масонский Завет. Наследие Хирама. М.: Эксмо, 2006.
61. **Найт К., Ломас Р**. Второй мессия. Великая тайна масонов. М.: Эксмо, 2006.
62. **Найт К., Ломас Р.** Ключ Хирама. Фараоны, масоны и утерянные свитки Иисуса. М.: Эксмо, 2006.
63. **Сахаров В.И.** Русское масонство в портретах. М.: АиФ Принт, 2004.
64. **Хэнкок Г.,Бьювел Р**. Власть талисмана. Тайны посвященных. М.: Эксмо, 2005.
65. **Уайт А.** Новая энциклопедия масонства (великого искусства каменщиков) и родственных таинств. М.: Лань, 2003.
66. **Андреэ И.В.** Химическая свадьба Христиана Розенкрейца в году 1459. М.: Энигма, 2003.
67. **Андреев А.Р**. Асасины, карбонарии, розенкрейцеры, масоны. М.: Традиция-Евролинц, 2001.
68. **Генон Р.** Символы священной науки. М.: Беловодье, 2002.

ეროვნული ბიბლიოთეკა

69. **Генон Р.** Избранные произведения. Царство количества и знамения времени. Очерки об индуизме. Эзотеризм Данте.
70. Державный орден Святого Иоаннв Иерусалимского, именуемый Мальтийским в России. Орден Мартинистов. М.:
71. **Йейтс Ф.А.** Розенкрейцерское просвещение. М.: Алетейа; Энигма, 1999.
72. **Йейтс Ф.А**. Джордано Бруно и герметическая традиция. М.: Новое литературное обозрение, 2000.
73. **Карпачев С.П.** Российское масонство XVIII-XX вв. М.: Альфа, 2000.
74. **Лонгинов М.Н.** Новиков и московские мартинисты. СПб.: Лань, 2000.
75. Масонство и русская литература XVIII – начала XIX вв. /Под ред. В.И.Сахарова. М.: Эдиториал УРСС, 2000.
76. **Натаф А.** Мэтры оккультизма. СПб.: Академ. проект, 2002.
77. **Робинсон Д**. Масонство. Забытые тайны. М.: Крон-Пресс, 2000.
78. **Сахаров В.И**. Иероглифы вольных каменщиков. Масонство и русская литература XVIII – начала XIX века. М.: Жираф, 2000.
79. **Серков А.И**. История русского масонства первой половины XIX века. СПб.: Изд. им. Н.И.Новикова, 2000.
80. **Серков А.И.** Русское масонство.1731-2000 гг. Энциклопедический словарь М.: РОСПЕН, 2001.
81. **Соколовская Т**. Капитул Феникса: Высшее тайное масонское правление в России.(1778-1822 гг.). М.: Изд. ГПИБ, 2000.
82. **Соловьев О.Ф**. Масонство. Словарь-справочник. М.: Аграф, 2001. – 432с.

K65.256
2

სოლომონ ბასერიანი

ფასონიანი-საიდუმლო საქმე, თუ საქმე საიდუმლოებით

ჩემი გზა – ჩემი პრჩევანია

2012